საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №180 (726) სამშაბათი, 17 აგვისტო, 1993 წელი ფასი 25 კუპონი

პირველი სვეტი

სერგი შოიგუ უარყოფს

როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტს აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისიის რუსეთის ნაწილის ხელმძღვანელმა, რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ უთხრა, ვლადისლავ არძინბას გუშინ ხელი არ მოუწერია ბრძანებაზე აფხაზეთიდან მოხალისეთა დღეისათვის დასახული გაყვანის გაუქმების შესახებ. როგორც სერგი შოიგუმ თქვა, აფხაზეთიდან ჯარების გაყვანის გეგმა და გრაფიკი წინანდელი რჩება.

გაერთიანებული კომისიის ოპერატიული შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა სერგი კუდინოვმა იტარ-ტასის კორესპონდენტთან საუბარში სოჭში ხაზი გაუსვა, რომ ვლადისლავ არძინბას ბრძანებაში საქმე ეხებოდა არა მოხალისეთა ფორმირებების გაყვანას, არამედ მხოლოდ აფხაზეთიდან ფარგლებს გარეთ მათ გადაყვანას. შეჩერებულია სადღეისოდ დასახული საზღვაო ტრანსპორტით კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ფორმირებათა გადაყვანა. ხოლო აფხაზეთის მხარეზე მეომარი ფორმირებები, როგორც სერგი კუდინოვმა თქვა, უკვე გაყვანილი არიან პოზიციებიდან, რომლებიც მათ დაკავებული ჰქონდათ.

წლისთავის დღეს

მდინარე გუმისთის ხიდზე 14 აგვისტოს — აფხაზეთში ომის დაწყების წლისთავის დღეს, დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორებისა და კონფლიქტის ზონიდან ჯარების გაყვანის გეგმის შესაბამისად, რომელიც გაერთიანებული კომისიის მეხუთე სხდომაზე არის მიღებული, შემოვიდა რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა კოლონა გაძლიერებული დროებითი საკონტროლო ჯგუფების დასაცავად.

მხარეთა დაშორიშორებისა და ჯარების გაყვანის სამმხრივი შეთანხმების გეგმით, 16 აგვისტოს გათვალისწინებულია მოეწყოს თავდაცვითი ნაგებობების განაღმვისა და მოხსნის სამუშაოები, როგორც გუმისთის ხეობაში, ისე ეშერის მაღლობებზე.

კონფლიქტის ზონიდან გასაყვანად მზად არის არტილერია და ჯავშანტექნიკა, მაგრამ, როგორც გაერთიანებული კომისიის საქართველოს მხარის წარმომადგენელმა განაცხადა, გაყვანა ფერხდება იმის გამო, რომ გუდაუთის მხარე აყოვნებს თავის ვალდებულებათა შესრულებას.

თენგიზ ჯიბუტი.

თავდასხმა თუ...

16 აგვისტოს, დაახლოებით დილის 7 საათზე ქუთაისში დაბანაკებული რუსეთის ფედერაციის არმიის ერთ-ერთ ნაწილში გუშაგების შეცვლის დროს ნახეს ორი ჯარისკაცის გვამი. როგორც წინასწარი მონაცემებით ირკვევა, ხმის დამხშობით აღჭურვილი ცეცხლსასროლი იარაღიდან ისინი მაშინ დახოცეს, როცა სათვალთვალო კოშკზე იმყოფებოდნენ, იარაღიც მათი აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, რუსეთის არმიის ხელმძღვანელმა ქალაქის ადმინისტრაციის სამსახურის მუშაკები შემთხვევის ადგილზე არ დაუშვა. ამის გამო ქუთაისში ათასგვარი ვერსია გავრცელდა — მათ შორის, რომ მკვლელობა ადგილზევე ნაწილის ტერიტორიაზე მოხდა.

მაკა კილაძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

თბილისის მეტროპოლიტენის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

მიწისზედა ტრანსპორტის მეტად შეზღუდული და არასტაბილური მუშაობის გამო თბილისის მეტროპოლიტენი დედაქალაქის ძირითად სატრანსპორტო საშუალებად იქცა.

მგზავრთა გაზრდილი ნაკადი ართულებს გამტარუნარიანობას. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი სადგურების მშენებლობა და მათი დროული ჩაბარება. სამმართველოს შენობაში მომხდარი ხანძრის შედეგად მეტროპოლიტენი დღეისათვის მუშაობს ცენტრალიზებული სადისპეტჩეროების გარეშე. საბანკო ოპერაციების ფაქტობრივად შეწყვეტის გამო შეუძლებელი გახდა სათადარიგო ნაწილების, კვანძებისა და აღსადგენი სადისპეტჩერო მოწყობილობის მიღება. დიდი სირთულეებია საწვავ-საპოხი მასალებით მომარაგებაში, რამაც შეიძლება მეტროპოლიტენის გაჩერება გამოიწვიოს.

აღსანიშნავია ელექტროენერგიის დეფიციტი და მისი მახასიათებლების არასტანდარტულობა, ქალაქის მაღალი ძაბვის კაბელების არადროული აღდგენა, მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიებისა და კომუნიკაციების მოუწესრიგებლობა, მგზავრთა უდისციპლინობა, მეტროპოლიტენის მუშაკების მიმართ უხეში მოპყრობისა და შეურაცხყოფის მრავალი ფაქტი.

მეტროპოლიტენის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ა) სასწრაფოდ შეიმუშაოს თბილისის მეტროპოლიტენისათვის საჭირო დანადგარების, კვანძებისა და სათადარიგო ნაწილების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შესაძენად საჭირო თანხების გადახდის სტაბილური და ქმედითი სისტემა და მიიღოს ზომები ამ სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შესასრულებლად;

ბ) ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს მეტროპოლიტენით შეღავათიანი სარგებლობის უფლების მქონე პირების კატეგორიები, მათთვის გასაცემი საბუთის ერთიანი ნიმუში და მისი გაცემის წესი;

გ) განახორციელოს საჭირო ზომები მეტროპოლიტენის მუშაკების ფორმის ტანსაცმლით უზრუნველსაყოფად;

დ) დაავალოს სახელმწიფო ფირმა „თბილისმეტრომშენს“:

— 1994 წლის პირველ კვარტალში უზრუნველყოს დეპოს განშტოების საექსპლუატაციოდ გადაცემა და დეპო-2-ში სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოს დამთავრება და საექსპლოატაციოდ ჩაბარება;

— 1994 წლის ბოლომდე უზრუნველყოს საბურთალოს ხაზზე ორი მშენებარე სადგურის ჩაბარება;

ე) გაავრცელოს მეტროპოლიტენის თანამშრომლებზე რკინიგზის მუშაკებისათვის გათვალისწინებული უფლებები და შეღავათები;

ვ) შეიმუშაოს და ორი თვის ვადაში წარმოადგინოს მეტროპოლიტენის მუშაკების საყოფაცხოვრებო, სხვა სოციალური პირობების (მიწისქვეშ მომუშავეებისათვის შვებულების გახანგრძლივების, საპენსიო ასაკის შემცირებისა და სხვ.) გაუმჯობესების და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა გეგმა;

ზ) ორი თვის ვადაში შეიმუშაოს თბილისის მეტროპოლიტენის განვითარების და მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა და გამონახოს საშუალებები მისი განხორციელებისათვის.

2. თბილისის მერიამ (კ. ზაბაშვილი):

ა) მიწისქვეშა ნაგებობების გარეშე ფაქტორებისაგან მეტროპოლიტენის საიმედო დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სამი თვის ვადაში წესრიგში მოიყვანოს და კეთილმოაწყოს მეტროპოლიტენის სადგურების მიმდებარე ტერიტორიები და კომუნიკაციები;

ბ) ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ქალაქის ბალანსზე მყოფი მაღალი ძაბვის კაბელების აღდგენა, მეტროპოლიტენის ქვესადგურებში ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება.

3. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თბილისის მერიამ და თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდატურამ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები მეტროპოლიტენის სადგურებში და მის ობიექტებზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, დაიცვან მეტროპოლიტენის კუთვნილი სახელმწიფო ქონება, უზრუნველყონ მეტროპოლიტენის მუშაკთა (მემანქანეები, მორიგეები, ოპერატორები) უსაფრთხოება და მუშაობის ნორმალური პირობები.

4. დაევალოს თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს განახორციელოს სათანადო ღონისძიებები ტექნიკური ექსპლოატაციისა და სხვა დადგენილი წესების, მოთხოვნათა უცილობლივ შესასრულებლად, დანერგოს ტექნიკური სიახლენი, მიიღოს ზომები საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განსამტკიცებლად, უზრუნველყოს მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის ყველა აუცილებელი პირობის შესრულება.

5. დაევალოს თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას (გ. ჯაბაური):

ა) განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ქარხნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და მეტროპოლიტენისათვის ელექტროვაგონების ძირითადი კვანძების (წევისძრავის, გოგორწყვილების, 27 და 70-ვოლტიანი ელექტრომძრავების მოტოკომპრესორის, როგორც ელექტრული, ისე მექანიკური ნაწილი) კაპიტალური შეკეთებისათვის;

ბ) სამი თვის ვადაში მოამზადოს წარმოება და დაიწყოს დკ-117 ტიპის წევისძრავების და მთლიან ნაგლინი გოგორწყვილების კაპიტალური შეკეთება ახალი ფერსოებით შეცვლით.

6. საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტის და საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტებმა (ზ. ჭანკოტაძე, რ. ვაშაკიძე) გაუწიონ დახმარება თბილისის მეტროპოლიტენს და ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას რუსეთისა და უკრაინის რესპუბლიკებიდან შემოსული სათადარიგო ნაწილებისა და მასალების ჩამოტანაში.

7. საქართველოს რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების კონცერნმა (დ. ზუბიტაშვილი) უზრუნველყოს თბილისის მეტროპოლიტენი თვეში 15 ტონა ბენზინით და საწვავ-საპოხი მასალით.

8. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამინისტრომ (მ. ზანკალიანი) უზრუნველყოს თბილისის მეტროპოლიტენი და ფირმა „თბილისმეტრომშენი“ საკაბელო პროდუქციით, მოწყობილობებით და სხვა სპეციფიკაციების მიხედვით წარმოდგენილი მასალებით.

9. საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრომ (გ. გელეიშვილი) ყოველწლიურად უზრუნველყოს მეტროპოლიტენი სათადარიგო ნაწილებით;

10. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ (გ. ჭაშაკაშვილი) ყოველწლიურად უზრუნველყოს თბილისის მეტროპოლიტენი ასი ტონა მილით;

11. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა თბილისის მეტროპოლიტენის სისტემაში შექმნილი რთული ვითარების გამო დროებით, განსაკუთრებული განკარგულების მიღებამდე, შეაჩეროს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მეტროპოლიტენის თანამშრომლების რეზერვისტთა გაწვევა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით;

12. საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყოს რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნებიდან თბილისმეტრომშენისათვის ყოველთვიურად 1000 ტონა (თითოეულმა ქარხანამ) ცემენტის მიწოდება.

13. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პროდუქტების კორპორაციას მეტროპოლიტენთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყოს დეპო „გლდანის“ ტერიტორიაზე არსებული 3,5 ტონა სიმძლავრის პურის საცხობის ექსპლუატაციაში შეყვანა;

14. დაევალოს თბილისის მერიას მკაცრი კონტროლი დაუწესოს შემუშავებული ღონისძიებების ვადებში განხორციელებასა და კვარტალში ერთხელ მოახსენოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, აგვისტო, 1993 წელი.

ფოტო აფხაზეთიდან

სურათზე: გაეროს მეთვალყურენი კონფლიქტის ზონაში.

გია ალექსანდრიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ედუარდ შევარდნაძე აფხაზეთის ომის შედეგებს აანალიზებს

წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო აფხაზეთში. გააანალიზა რა ამ ძმათამკვლელი კონფლიქტის შედეგები, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა: — ახლა დრო არ არის ვარკვიოთ, თუ ვინ არის დამნაშავე ამ საზარელი ტრაგედიის გაჩაღებაში. ამ მომენტში მთავარია, რომ შეწყდეს ომი, ბოლო მოეღოს სისხლისღვრას, რადგან ის, თუ რა შეიძლება მოიტანოს კონფლიქტის განგრძობამ, ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორც აფხაზეთისათვის, ისე მთლიანად საქართველოს, მთელი რეგიონისათვის.

გასული წელი, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — მწარე გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი ორივე ხალხისათვის — ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის. საქართველო, მისი ტერიტორია განუყოფელია. და ეს წელი დამაჯერებლად ადასტურებს, რომ საქართველოს თითოეული ნამდვილი მოქალაქე და არა მარტო ქართველი, ბარიკადის რომელ მხარესაც უნდა იდგეს, მზად არის თავი დადოს მისი მთლიანობისათვის. ახლა უაღრესად საჭიროა, ხაზი გაუსვა მან, რომ კონფლიქტის მოწესრიგების დაწყებული პროცესი არ შეწყდეს, არ ჩაქრეს. ამიტომაც ყველამ, მათ შორის, ჩვენმა ოპონენტებმაც, ყველაფერი უნდა იღონონ მშვიდობიანი პროცესის წინ წაწევისათვის.

იძულებული გავხდით გარკვეულ კომპრომისზე წავსულიყავით, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — თუ გნებავთ, რაღაც დაგვეთმო კიდეც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისას. მაგრამ ეს მოხდა მთავარი მიზნის მიღწევისათვის. ბოლოს და ბოლოს დამთავრდეს ომი, მოშუშდეს მის მიერ მიყენებული მძიმე იარები, აღდგეს არსებული საზღვრები, დანგრეული ქალაქები და სოფლები, დაბრუნდნენ ლტოლვილები — ქართველებიცა და აფხაზებიც, სხვა ეროვნებათა ადამიანებიც მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ამ შეთანხმების რეალიზაციის დაწყება დამაიმედებელია და გამოთქვა რწმენა, რომ საქმე ბოლომდე მივა, რომ ქართულ მიწაზე, ბოლოს და ბოლოს, დამკვიდრდება მშვიდობა, მასთან ერთად კი სტაბილურობა მთელ რესპუბლიკაში.

„ბროილერი“ ამუშავდა

15 აგვისტოს გამარჯვების მეფრინველეობის საწარმოო გაერთიანება „ბროილერი“ დაათვალიერა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. იგი გაეცნო საამქროებისა და ბრიგადების მუშაობას, ესაუბრა მშრომელებს, გამართა თათბირი, რომელზეც განიხილეს საქართველოში მეფრინველეობის განვითარების პრობლემები.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკაში რესპუბლიკისათვის დიდი და მნიშვნელოვანი საქმე კეთდება. მან მადლობა გადაუხადა მის მუშაკებს მუშაობაში ინიციატივიანობისა და თავდადებისათვის. მადლობა მოახსენეს ისრაელ სპეციალისტსაც, რომელიც კონსულტაციებს უწევს ქართველი კოლეგების მუშაობას, და გამოითქვა რწმენა, რომ შემდგომაც განვითარდება ეს თანამშრომლობა. სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს იხმარს დარგის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრისათვის.

შეხვედრა მეტროპოლიტენის მუშაკებთან

14 აგვისტოს გაიმართა თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა ერთი ჯგუფის შეხვედრა პარლამენტის ვიცე-სპიკერთან ვახტანგ რჩეულიშვილთან. შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის ვიცე-პრემიერი ნოდარ ბერიძე, მეტროპოლიტენის უფროსი გურამ გაბუნია.

მეტროპოლიტენის მემანქანეებმა შეხვედრაზე გულისწყრომა გამოთქვეს იმის გამო, რომ მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ უდროო და არაპატრიოტული უწოდა მათ მოთხოვნას ხელფასის მომატების შესახებ. მემანქანეებმა ისაუბრეს თავიანთი შრომის ურთულეს პირობებზე, სოციალურ და სამართლებრივ დაუცველობაზე, პროფესიული დაავადებებით გამოწვეულ სიძნელეებზე და ცხადია იმ უდიდეს პასუხისმგებლობაზე, რომელიც მათ აკისრიათ მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. „გაფიცვა და მეტროპოლიტენის გაჩერება ჩვენი თვითმიზანი არ არის, ჩვენ მხოლოდ საკუთარი შვილების ბედზე ვფიქრობთ“, — აღნიშნა, მაგალითად, მემანქანე კანდელაკმა. „ყველაფერი წესრიგის და კანონიერების განმტკიცებით უნდა დაიწყოს. დაიწყეთ წესრიგის დამყარება და გვერდში ამოგიდგებით“, — განაცხადა მემანქანე გულიაშვილმა. შეხვედრაზე დაისახა მეტროპოლიტენის მუშაკთა ყოფითი საკითხების მოგვარების, პირველ რიგში კი პირველადი მოხმარების საქონლით უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს და შესრულდება ერთ თვეში, განიხილოს შრომითმა კოლექტივმა კომპეტენტური უწყებების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დაუყოვნებლივ გააცნობენ თავის კოლეგებს, რომლებიც შეხვედრას არ ესწრებოდნენ, ამ შეხვედრის შედეგებს.

თბილისის მეტროპოლიტენი: გაფრთხილებთ!

16 აგვისტოს დილით მუშაობა შეწყვიტა თბილისის მეტროპოლიტენმა. ამ ამბავმა მოქალაქეები გააღიზიანა და ააფორიაქა. მეტროსთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, ყველას სამსახურში აგვიანდებოდა...

ამ ფაქტთან დაკავშირებით ვესაუბრეთ თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსს ზურაბ ბაბუნიას. აი, რა გვითხრა მან:

— ერთი კვირის წინ ჩვენ მოგვმართა მეტროპოლიტენის მემანქანეების დიდმა ჯგუფმა. მემანქანეებმა მოითხოვეს ხელფასების მნიშვნელოვანი გაზრდა. საკმაოდ მძიმე, დიდი სამუშაო ჩავატარეთ, რათა ისინი დაგვერწმუნებინა, რომ გაფიცვა ამ ეტაპზე არასასურველი იყო, რადგან ასეთი რთული საკითხი მალე ვერ გადაიჭრებოდა, ამასთან, მთავრობა გადამდგარი იყო და მისი გადაწყვეტილების გამოტანა ამ დღეებში ვერ მოხერხდებოდა.

უფრო მეტიც, — უნდა ითქვას, რომ ჩვენთან საშუალო ხელფასი 60 ათასიდან 80 ათასამდეა. ცოტა უხერხულადაც კი მეჩვენება საკითხის დასმა, თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის საერთო ხელფასის დონეს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ სპეციფიკურ, საოცრად რთულ პირობებში მუშაობენ მეტროპოლიტენის მუშაკები, განსაკუთრებით კი მემანქანეები, გვირაბებისა და ლიანდაგების მუშები, მათ თვეში 21 დღის გათენება გვირაბში უწევთ. თუ გავითვალისწინებთ იმ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რომელიც მემანქანეს აკისრია, შემდეგ საოცრად დიდ და გაზრდილ მგზავრთა ნაკადსაც, ცხოვრებისეული მწვავე საკითხების მოუგვარებლობამ ძალზე ბევრი მუშა და მემანქანე დააავადა. ბევრი ცოლ-შვილით, მცირეწლოვანი შვილებით ცხოვრობს ქირით და ძალზეც უჭირს.

დღეს, როცა სატრანსპორტო პრობლემა ასე მწვავეა, პირადად მე და ჩვენმა კოლექტივმა ყოველივე მძიმედ განვიცადეთ, მაგრამ მინდა გაიგოს ყველამ, რომ განსაკუთრებულმა მძიმე სპეციფიკურმა პირობებმა მიიყვანა ისინი ამ ზომამდე.

მძიმე და კულმინაციური იყო კვირის ღამე. თვალი არ მოგვიხუჭავს, კამათი იყო ძალზე მწვავე და რთული. საკითხები ისე რადიკალურად იყო დასმული, რომ ისინი ხანგრძლივად აპირებდნენ გაფიცვას. მათვე აირჩიეს საგაფიცვო კომიტეტი და საბოლოო მოთხოვნა იყო — მეტროპოლიტენი დღის 12 საათამდე არ იმუშავებდა. დავარწმუნეთ ისინი, რომ ეს გამოიწვევდა ქალაქში დესტაბილიზაციას და ქაოსს. როგორც იქნა, დაგვიჯერეს, და ზუსტად დილის 9 საათზე მეტროპოლიტენმა მუშაობა დაიწყო.

მემანქანეებმა მთავრობის მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძესაც მიმართეს თხოვნით, რომ ერთი კვირის ვადაში განხილულიყო მათ მიერ დაყენებული საკითხები.

ვიმედოვნებთ, რომ ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებების რეალიზაციის შედეგად მეტროპოლიტენის მუშაობა მომავალში უფრო მყარი, საიმედო და სტაბილური გახდება.

იზა ჯაჭვაძე.

ნომერში

- მხარი დავუჭიროთ რეფორმატორთა კავშირის შექმნას. 3
- „რენოს“ ავტომობილებს თბილისში შეიძენთ. 4

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

ო. ელოშვილის ცხინვალის რეგიონში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ

1. **დაინიშნოს** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი **ომარ ელოშვილი** საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენლად ცხინვალის რეგიონში.

2. დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენელს ცხინვალის რეგიონში, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრს ომარ ელოშვილს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, აღნიშნული რეგიონის მიმდებარე რაიონების მმართველობის ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარებისა და ლტოლვილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების მიზნით.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 16 აგვისტო, 1993 წელი.

მიღება სახელმწიფოს მეთაურთან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში მყოფი ჰოლანდიისა და ინგლისის იმ ფირმების ხელმძღვანელები, რომლებიც შედიან ღვინისა და ღვინო-არყის პროდუქციის წარმოების, ჩამოსხმისა და რეალიზაციის საქართველო-ჰოლანდია-ინგლისის კომპანიაში, და მათი კოლეგები — მეღვინეობის დარგის ექსპერტები. საქართველოში საზღვარგარეთელი სტუმრების ყოფნის შედეგების განმარტებისას, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვესიტაძემ აღნიშნა, რომ ამ თანამშრომლობის ძირითადი მიზანია ჩვენი მეღვინეობის პროდუქციის გასვლა ევროპის ბაზარზე.

საუბრის დროს ჰოლანდიისა და ინგლისის ფირმების პრეზიდენტებმა — თეო იანსენმა და ჯორჯ ჰეილვუდმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს აღუთქვეს, რომ ისინი დაინტერესდებიან საქართველოსთან მუდმივი თანამშრომლობით. ჰოლანდიაში, — თქვა თეო იანსენმა, ყველაფერი მზად არის ქართული ღვინოების მიღებისა და მათი იმიჯის შექმნისათვის.

ფირმის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ედუარდ შევარდნაძის დიდ ავტორიტეტს მის ქვეყანაში, და განაცხადა, რომ ახალი საწარმოს პრეზენტაციის დროს ფირმის თანამშრომლებმა საქართველოსათვის შეაგროვეს ხუთი ათასი დოლარი.

მადლობა გადაუხადა რა სტუმრებს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა პოზიტიური შეფასება მისცა პარტნიორობის დამყარებას, ხაზი გაუსვა მის ფართო პერსპექტივებს.

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირად წარმომადგენელს

16 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური პირადი წარმომადგენელი როლფ კნუტსენი, რომელიც ოპერატიულად გამოგზავნა საქართველოში ბუტროს გალიმ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან სატელეფონო საუბრის შემდეგ. მისი მისიის მიზანია გაეცნოს აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას და უშიშროების საბჭოს მიაწოდოს თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციები კონფლიქტის ზონაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიხედვით.

ედუარდ შევარდნაძემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელს სთხოვა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს ადამიანის უფლებათა დარღვევებს ქართული მოსახლეობის მიმართ გუდაუთის მხარის კონტროლსდაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, კონფლიქტის ზონაში მომუშავე გაერთიანებული კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ მისი დეპორტაციის ფაქტებს.

საუბარში მონაწილეობდა სახელმწიფოს მეთაურის პირადი წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე.

ედუარდ შევარდნაძე გაემგზავრება თურქმენეთის დედაქალაქში

17 აგვისტოს დილით ედუარდ შევარდნაძე ოფიციალურ ერთდღიან ვიზიტად გაემგზავრება აშგაბატში. თურქმენეთის დედაქალაქში გაიმართება მოლაპარაკება პრეზიდენტ ნიაზოვთან.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხელს მოაწერენ ორ ქვეყანას შორის შეთანხმებათა პაკეტს, კერძოდ, დიდ ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, შეთანხმებებს სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის დარგში, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და სხვა. მთელი რიგი ხელშეკრულებები ეხება საგარეო საქმეთა სამინისტროების, საბაჟო კომიტეტების თანამშრომლობას, ტურიზმს, სპორტსა და ა. შ.

ის, რომ დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრები, საბაჟო კომიტეტის, მთელი რიგი სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მოწმობს, თუ რაოდენ დიდ დაინტერესებას იჩენს საქართველო თურქმენეთთან მრავალმხრივი თანამშრომლობისადმი.

ზოგიერთი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ აშგაბატში გაიმართება მოლაპარაკება ბუნებრივი აირის მოწოდებისათვის თურქმენეთისადმი საქართველოს დიდი დავალიანების დაფარვის შესაძლო ვარიანტების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტის პროგრამაში შედის აშგაბატის სახელგანთქმული ცხენსაშენის, მეღვინეობის მეურნეობის დათვალიერება.

საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში

რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ 16 აგვისტოს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი.

საუბარი ეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს. ელჩმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული შეთანხმება ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს ამა წლის მარტის დამდეგს, დაამტკიცა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა და ამიერიდან მთლიანად ამოქმედდება ორივე მხარის სასარგებლოდ.

ეს დოკუმენტი, კერძოდ, ითვალისწინებს საქართველოსათვის უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმს, რაც ნიშნავს მეგობრულ ქვეყნებთან ვაჭრობის ნორმალური რეჟიმის გამოყენებას. სახელმწიფოები, რომლებიც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით დგანან საკანონმდებლო საფუძველზე უმეტესი ხელშეწყობის პრინციპებით, ერთმანეთის მიმართ ადგენენ დაბალ ტარიფებსა და საბაჟო გადასახადს, საქონლის შეუზღუდავ იმპორტ-ექსპორტს, ხელს უწყობენ საბანკო ოპერაციათა განხორციელებასა და სხვ.

პარლამენტის სხდომა 20 აგვისტოს გაიმართება

16 აგვისტოს საქართველოს პარლამენტში გაიმართა ფართო კონსულტაციები ფრაქციათა, კომისიათა, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების — პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მონაწილეობით. იმსჯელეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შესახებ. სახელმწიფოს მეთაურმა და პარლამენტარებმა დაასახელეს და განიხილეს რესპუბლიკის პრემიერის რამდენიმე კანდიდატურა.

გამოსულთა დიდმა უმრავლესობამ, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლებმა, საქართველოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, გარდუვალად მიიჩნიეს ამ ეტაპზე სახელმწიფოს მეთაურის მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავება.

გადაწყდა გაგრძელდეს კონსულტაციები ამ საკითხზე. პარლამენტის მორიგი სხდომა დანიშნულია 20 აგვისტოს, 10 საათზე.

ფრაქცია „რესპუბლიკელები"

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

განათლების შესახებ

განათლების მიღების უფლება პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი და, აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქის ხელშეუხებელი კონსტიტუციური უფლებაა.

საქართველოს რესპუბლიკა პრიორიტეტულად აცხადებს განათლების სფეროს და სახელმწიფო ყოველმხრივ ხელს უწყობს მის განვითარებას.

განათლება საქართველოს რესპუბლიკაში ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ და კულტურულ ფასეულობებს, ისტორიულ გამოცდილებას, დემოკრატიის პრინციპებს, ერის მრავალსაუკუნოვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ტრადიციებსა და ადამიანის საყოველთაო უფლებებსა და თავისუფლებებს.

განათლება განსაზღვრავს საზოგადოების კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, ხელს უწყობს სოლიდარობის, ტოლერანტობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას ადამიანებსა და ხალხებს შორის.

განათლების მიღება საქართველოს რესპუბლიკაში ხდება საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე.

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები განათლების სფეროში

განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

სწავლებისა და აღზრდის ჰუმანისტური და დემოკრატიული ხასიათი;

კულტურული და საგანმანათლებლო სივრცეთა ერთიანობა, ეროვნული კულტურისა და რეგიონული კულტურული ტრადიციების დაცვა;

განათლების სისტემის უწყვეტობა და მემკვიდრეობითობა;

სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემის მეცნიერულობა და საერო ხასიათი;

ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა დაფუძნება ეროვნულ-კულტურულ საფუძველზე;

განათლების საყოველთაობა სახელმწიფო სტანდარტების ფარგლებში;

სავალდებულო საბაზო (9-წლიანი) განათლება;

სულიერი და ფიზიკური აღზრდის ერთიანობა;

განათლებულობისა და ტალანტის ხელისშეწყობა;

საგანმანათლებლო დაწესებულებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა გავლენისაგან;

აღმზრდელთა და აღსაზრდელთა პიროვნების პატივისცემა;

პედაგოგის პიროვნებისა და მისი სოციალური როლის პატივისცემა;

ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებრივი თანასწორობა, მათი ავტონომიურობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

განათლების სისტემის მართვის დემოკრატიული, სახელმწიფო-საზოგადოებრივი ხასიათი.

მუხლი 2. განათლების სისტემის ამოცანები

განათლების სისტემის ძირითადი ამოცანებია:

პიროვნების სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენა, ზნეობის მყარი საფუძვლების ჩამოყალიბება, მისი ინტელექტის გაფართოება პიროვნულობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის გზით;

მეცნიერებისა და კულტურის თანამედროვე დონის შესაბამისი ზოგადი და პროფესიული განათლების მიცემა;

საქართველოს მაცხოვრებლებისათვის განათლების მიღების გაგრძელების შესაძლებლობა;

მოქალაქეების აღზრდა, პიროვნების უფლებებისა და მოვალეობების ღრმა გააზრება ოჯახის, ხალხის, საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე. სხვისი საკუთრების პატივისცემის უნარისა და საზოგადოების კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების მოთხოვნილების გამომუშავება.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა განათლების სფეროში და მისი ამოცანები

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა განათლების სფეროში შეიცავს წინამდებარე კანონს და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობებს, რომლებიც მოქმედებენ მათ ტერიტორიაზე და არ ეწინააღმდეგებიან წინამდებარე კანონს.

ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც დაარღვევენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას განათლების სფეროში, პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ამოცანებს განათლების სფეროში წარმოადგენს;

ა) კომპეტენციების გამიჯვნა განათლების სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და სხვადასხვა დონის მმართველობის ორგანოებს შორის;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა განათლების მიღების კონსტიტუციური უფლების უზრუნველყოფა და დაცვა;

გ) განათლების სისტემის თავისუფალი ფუნქციონირებისათვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნა;

დ) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობათა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა განათლების სფეროში და მათი ურთიერთდამოკიდებულების რეგულირება.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებების სახელმწიფო გარანტიები განათლების სფეროში

საქართველოს მოქალაქეებს ენიჭებათ თანაბარი უფლებები მიიღონ განათლება მიუხედავად მათი რასისა, ეროვნებისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი ან თანამდებობრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, რელიგიისთან დამოკიდებულებისა, მრწამსისა, პარტიული კუთვნილებისა, ნასამართლეობისა, საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ხანგრძლივობისა.

მოქალაქეთა უფლების შეზღუდვა პროფესიულ განათლებაზე სქესით, ასაკით, ჯანმრთელობის მდგომარეობით, ნასამართლეობით შესაძლებელია, განისაზღვროს მხოლოდ კანონით.

მოქალაქეთა უფლება განათლებაზე უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო სისტემისა და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნით.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფასო ზოგად და კონკურსის საფუძველზე უფასო პროფესიულ განათლებას სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტების ფარგლებში, თუ ამ დონის განათლებას მოქალაქე პირველად იღებს.

ნორმალური განვითარებიდან გადახრილ მოქალაქეთათვის სახელმწიფო ქმნის პირობებს, რათა მოხდეს მათი განვითარების კორექცია და სოციალური ადაპტაცია სპეციალური პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით.

ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებათა კურსდამთავრებულებს თანაბარი უფლებები გააჩნიათ შემდეგი საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესვლისას.

სხვა ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები საქართველოს რესპუბლიკაში განათლების მიღებაზე ხორციელდება მათ შორის დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე.

საქართველოში განათლება მიიღება სწავლების დასწრებული და ექსტერნატური ფორმით.

მუხლი 5. სწავლების ენა (ენები)

სწავლების ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სკოლებში ქართული ენაა, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართული ან აფხაზური ენა.

კომპაქტურად დასახლებული ნაციონალური უმცირესობებისათვის საქართველოს რესპუბლიკა ქმნის პირობებს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაქმნელად, გაკვეთილების ჩასატარებლად მშობლიურ ენაზე. მშობლებს (ან მათთან გათანასწორებულ პირებს) უფლება აქვთ ამოირჩიონ ბავშვებისათვის შესაბამისი ენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ან საშუალო სკოლა.

არაქართულ სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. მშობლების სურვილის გათვალისწინებით იქმნება პირობები დანარჩენი დისციპლინების ქართულ (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართულ და აფხაზურ) ენაზე სწავლებისა.

ყველა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უზრუნველყოფს ქართული ენის (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ქართული და აფხაზური) ცოდნას იმ სტანდარტების მიხედვით, რომელიც დადგენილია განათლების სამინისტროს მიერ.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იქმნება შესაძლებლობები ქართული (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კი — აფხაზურისაც) ენის შესასწავლად.

მუხლი 6. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები და სახელმწიფო კონტროლი მასზე

საქართველოს რესპუბლიკაში განისაზღვრება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები, რომლებიც ადგენენ ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების აუცილებელ მინიმუმს, მოსწავლეთა დატვირთვის მაქსიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი დონის დასადგენ კრიტერიუმებს, და სავალდებულოა საკუთრების ყველა ფორმის სასწავლო დაწესებულებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციისათვის ნორმალური განვითარებიდან გადახრილ მოსწავლეთათვის შესაძლებელია დადგინდეს სპეციალური სახელმწიფო სტანდარტები.

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების, დამტკიცების და ამოქმედების მექანიზმები და წესები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება ხდება კონკურსის წესით, რომელსაც აცხადებს საქართველოს მთავრობა. ამ სტანდარტების დაზუსტება ასევე კონკურსის წესით ხდება ერთხელ მაინც ყოველ 10 წელიწადში.

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები წარმოადგენენ განათლების დონის და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის ობიექტურ შეფასებას, რომელიც არ არის დამოკიდებული განათლების მიღების ფორმაზე.

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების რეალიზაციის კონტროლს ეწევა განათლების სამინისტრო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

თავი II
განათლების სისტემა

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სისტემა

საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს:

ა) სკოლამდელ აღზრდას;

ბ) ზოგად განათლებას;

გ) პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას;

დ) საშუალო სპეციალურ განათლებას;

ე) უმაღლეს განათლებას;

ვ) საუნივერსიტეტო (აკადემიურ) განათლებას;

ზ) პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და კადრების გადამზადებას;

თ) საოჯახო განათლებას;

ი) თვითგანათლებას;

კ) დამატებით განათლებას;

განათლების სისტემაში უზრუნველყოფილია სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ურთიერთთანადობა, სწავლების საფეხურებისა და ფორმების მემკვიდრეობითობა და სახელმწიფო სტანდარტებთან შესატყვისობა.

მუხლი 8. სკოლამდელი აღზრდა

სკოლამდელი აღზრდის ამოცანებია: ბავშვის პიროვნების საფუძვლების ფორმირება, ჯანმრთელობის განმტკიცება, მისი შემეცნებითი ინტერესების განვითარება. კულტურულ-ეთიკურ მოთხოვნილებათა ჩამოყალიბება, სხვისი საკუთრებისადმი პატივისცემის უნარის გამომუშავება, შრომითი ჩვევების აღზრდა, სწავლისადმი სიყვარულის ჩანერგვა.

სკოლამდელი აღზრდა ხორციელდება ოჯახში ან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

მუხლი 9. ზოგადი განათლება

ზოგადი განათლება სახელმწიფო უწყვეტი საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი რგოლია. იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის მეცნიერული ცოდნის საფუძვლებისა და შრომითი და საწყისი პროფესიული ჩვევების შეძენას, აგრეთვე მოსწავლეთა ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებებისა და ზნეობრივი ნორმების განვითარებას.

ზოგადი განათლება გულისხმობს სამ საფეხურს: საწყისი (I-IV კლასები), საბაზო (V-IX კლასები), საშუალო (X-XI კლასები) და მიიღება საწყის, საბაზო საშუალო სკოლებში, აგრეთვე სხვა სახის სასწავლო დაწესებულებებში. (გიმნაზიებში, ლიცეუმებში და სხვა).

საბაზო განათლება სავალდებულოა და იგი იძლევა სწავლის გაგრძელების უფლებას საშუალო საგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკურ ან საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაძლებელია სწავლების პროფილირება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების გათვალისწინებით — მოსწავლეთა მიერ არჩეული კურსების შემოღება და საგნების გაღრმავებული შესწავლა.

მუხლი 10. პროფესიულ-ტექნიკური განათლება

პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიზანია ყმაწვილებში შრომითი უნარ-ჩვევების გამომუშავება და პროფესიული ცოდნის მიღება, ხელობის შესწავლა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება.

პროფესიული განათლების მიღება ხორციელდება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, სხვა სასწავლო დაწესებულებებში ან უშუალოდ საწარმოში.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ საბაზო განათლების საფუძველზე იმავდროულად ზოგადი საშუალო განათლების მიღებით ან ამის გარეშე.

პირები, რომლებიც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (პირველად) იძენენ პირველ პროფესიას, აგრეთვე ისინი, ვინც გადამზადებას გადიან სახელმწიფო სამსახურის მიმართვის საფუძველზე, სწავლობენ უფასოდ.

მუხლი 11. საშუალო სპეციალური განათლება

საშუალო სპეციალური განათლების მიზანია საშუალო რგოლის სპეციალისტის მომზადება. საშუალო სპეციალური განათლების მიღება ხდება ტექნიკუმებში, სასწავლებლებში, კოლეჯებში და სხვა სახის საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში. მათ შორის ისეთშიც, რომელნიც ინტეგრირებულნი არიან სხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებში (პროფესიულ-ტექნიკურ ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში). საშუალო სპეციალური განათლების მიღება შეიძლება მხოლოდ საბაზო, ზოგადი საშუალო ან პროფესიულ-ტექნიკური განათლების საფუძველზე.

მოქალაქენი, რომლებიც საშუალო სპეციალურ განათლებას სახელმწიფო დაწესებულებებში იღებენ პირველად, აგრეთვე პირნი, რომელთა გადამზადებაც ხდება სახელმწიფო სამსახურის მიმართვით, სწავლობენ უფასოდ.

მუხლი 12. უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების მიზანია უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება, რომელთაც ზოგადმეცნიერულ ცოდნასთან ერთად თავისი მოღვაწეობის სფეროსათვის აუცილებელი პროფესიული ჩვევები გააჩნიათ.

უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადება შესაძლებელია მხოლოდ ზოგად საშუალო, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური ან საშუალო სპეციალური განათლების ბაზაზე.

იმ პროფესიებისა და სპეციალობების ნუსხა, რომელთა მიღებაც არ შეიძლება ექსტერნატული სწავლების ფორმით, მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური დებულების სახით.

მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ მეორე უმაღლესი განათლება, მხოლოდ არა უფასოდ.

უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირება რეგლამენტირდება მათი წესდებებით, რომელთაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო.

კანონმდებლობით განსაზღვრულია უმაღლესი სასწავლებლების პერიოდული ატესტაცია და აკრედიტაცია.

მუხლი 14. საუნივერსიტეტო (აკადემიური) განათლება

საუნივერსიტეტო (აკადემიური) განათლების მიზანია სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების აღზრდა, რომელთაც ღრმა ზოგადმეცნიერულ ცოდნასთან ერთად დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები ექნებათ.

საუნივერსიტეტო (აკადემიური) განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლების ბაზაზე.

საუნივერსიტეტო (აკადემიური) განათლების მიღება ხორციელდება უნივერსიტეტებში, აკადემიებში ან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი პროფილის ინსტიტუტებში.

სწავლის ხანგრძლივობა საუნივერსიტეტო (აკადემიური) განათლების სასწავლო დაწესებულებებში განისაზღვრება სასწავლო დაწესებულების წესდებით, რომელსაც ამტკიცებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და განათლების სამინისტრო.

საუნივერსიტეტო (აკადემიური) განათლების მიღებისას შესაძლებელია დაწყებითი სამეცნიერო ხარისხის (მაგისტრის ან ბაკალავრის) მინიჭება, რაც რეგულირდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებით.

ძირითადი სამეცნიერო ხარისხებისა და სამეცნიერო წოდებების მინიჭება განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 15. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და კადრების გადამზადება

პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და კადრების გადამზადების მიზანია პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავება და განახლება, აგრეთვე ახალი სპეციალობის ათვისება, რაც გამოწვეულია საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, საწარმოებსა და შრომის ბირჟაზე ცვლილებებითა და მოქალაქეთა პირადი სურვილით.

პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და კადრების გადამზადება ხორციელდება სახელმწიფო და სხვა სასწავლო დაწესებულებათა ბაზაზე როგორც სახელმწიფოს ხარჯზე, აგრეთვე საწარმოებთან, ორგანიზაციებთან ან ცალკეულ პირებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

სწავლების ფორმები, ხანგრძლივობა და შინაარსი განსაზღვრულია სასწავლო დაწესებულების მიერ შემკვეთთან შეთანხმებით.

მუხლი 16. საოჯახო განათლება

მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები მოწოდებულნი არიან ჩაუყარონ საფუძველი ბავშვის ფიზიკურ, ზნეობრივ და ინტელექტუალურ განვითარებას.

მშობლებს (მათ შემცვლელ პირებს) უფლება აქვთ შეუქმნან ბავშვს შესაძლებლობა ოჯახში განათლების მისაღებად. ამ შემთხვევაში მშობლებს (მათ შემცვლელ პირებს), სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებსა და განათლების სისტემის მართვის შესაბამის ორგანოს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა სამართლებრივ, ეკონომიკურ და სხვა ვალდებულებებს ბავშვის, ოჯახისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

სწავლება ოჯახში ხორციელდება სასწავლო დაწესებულების პროგრამების მიხედვით ბავშვის შემდგომი ატესტაციით ექსტერნატული სახით. პირებს, რომელთაც განათლება მიიღეს ოჯახში, უფლება აქვთ განაგრძონ სწავლა სწავლების ნებისმიერ ეტაპზე შესატყვისი ატესტაციის გავლის შემდეგ.

სახელმწიფო ხელს უწყობს საოჯახო განათლების მიღებას. შესაბამისი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ვალდებულნი არიან გაუწიონ ოჯახს მეთოდური, დიაგნოსტიკური და კონსულტატიური დახმარება. კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში შესაძლებელია ოჯახს მიეცეს ფულადი კომპენსაცია.

მუხლი 17. თვითგანათლება

სახელმწიფო მხარს უჭერს საზოგადოების მოთხოვნას აიმაღლოს თავისი განათლების, კულტურული და პროფესიული დონე და ჰქმნის ამისათვის აუცილებელ პირობებს.

იმ პირთ, რომელთაც თავად აიმაღლეს განათლების ან კვალიფიკაციის დონე, უფლება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდები ექსტერნად.

მუხლი 18. დამატებითი განათლება

მსურველებს სახელმწიფო უქმნის პირობებს მიიღონ დამატებითი განათლება სხვადასხვა ფორმით ორგანიზებულ სახელმწიფო ინსტიტუტებში — სამხატვრო, სპორტულ, ლინგვისტურ, ტექნიკურ, აგრეთვე სხვა პროფილის სკოლებში, წრეებსა და კურსებზე.

მუხლი 19. საგანმანათლებლო სერტიფიკატები

საგანმანათლებლო დაწესებულებათა კურსდამთავრებულებს, გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა კურსდამთავრებულებისა, რომელთაც გაიარეს ატესტაცია, მიუხედავად სწავლების ფორმისა და სასწავლებლის ტიპისა, ეძლევათ ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერტიფიკატი, რომლის სახესაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

დისერტაციის დაცვისა და ხარისხის მინიჭების შემდეგ გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სერტიფიკატის შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.

თავი III
განათლების სისტემის მართვა

მუხლი 20. მართვის ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს (სამინისტროს) კომპეტენცია განათლების სფეროში.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:

ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება;

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება, დაცვა და კონტროლი მათზე;

განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და დაცვა;

განათლების სისტემის მართვის სტრუქტურების ჩამოყალიბება და მათი ხელმძღვანელობა;

საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის მექანიზმების შემუშავება და რეალიზაცია;

საგანმანათლებლო სერტიფიკატებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცება;

სასწავლო დაწესებულებათა აკრედიტაციისა და ლიცენზირების, აგრეთვე პედაგოგიური და სამეცნიერო კადრებისა და მოსწავლეთა ატესტაციის წესის განსაზღვრა და რეალიზაცია;

რესპუბლიკის ბიუჯეტიდან განათლებაზე გამოსაყოფი წილის განსაზღვრა;

განათლების სისტემის ფინანსირების სახელმწიფო ნორმატივების (მათ შორის პედაგოგთა და მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის ნორმებისა და მათთვის შეღავათების) განსაზღვრა;

პედაგოგიური კადრების მომზადების ორგანიზაცია;

საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლების მომზადება, დამყარება და ქვეყნის საგანმანათლებლო და მეცნიერული პოტენციალის ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებსა და ინსტიტუტებში.

მუხლი 21. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კომპეტენცია განათლების სისტემის მართვაში

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის შესაბამისობის უზრუნველყოფა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭიროებასთან;

ადგილობრივ დაქვემდებარებაში მყოფი სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნა, რეორგანიზაცია დ ლიკვიდაცია, მათი წესდების რეგისტრაცია;

ადგილობრივი დაქვემდებარების სასწავლო დაწესებულებათა გახსნის ლიცენზირება;

თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში დაფინანსების ოდენობის, შრომის ანაზღაურების და საგადასახადო შეღავათების განსაზღვრა თავის ტერიტორიაზე მოქმედი სასწავლო დაწესებულებებისათვის, განათლების განვითარების ფონდის შექმნა რეგიონში განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებების ნებაყოფლობითი შენატანებისა და შეწირულობების ხარჯზე;

მოსწავლეთა და პედაგოგთა სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

რეგიონში ბავშვთა აღზრდის, განვითარებისა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობების შექმნა;

კანონმდებლობის ფარგლებში მზრუნველთა და მეურვეთა საკითხთა გადაწყვეტა;

სახელმწიფო სტანდარტების დაცვისა და კონტროლის რეალიზაციის ხელმძღვანელობა რეგიონში.

მუხლი 22. განათლების სისტემის სახელმწიფო მართვის ორგანოები

განათლების სისტემის სახელმწიფო მართვა საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომელთაც ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების სპეციალური რწმუნებები გააჩნიათ. სახელმწიფოს მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ სახელმწიფო მოთხოვნებისა და ნორმატივების დაცვას სასწავლო დაწესებულებებში.

სახელმწიფო მართვის ორგანოების ჩარევა სასწავლო დაწესებულების მუშაობაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი არღვევს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

მუხლი 23. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობითა და მათი წესდების საფუძველზე. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მისი საბჭო, რომელიც იქმნება და მოქმედებს დადგენილი წესით.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების უშუალო ხელმძღვანელობას ეწევა გამგე, დირექტორი, რექტორი ან სხვა ხელმძღვანელი. სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო-სპეციალური სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები დაწესებულების საბჭოს წარდგინებით მტკიცდებიან თანამდებობაზე სახელმწიფო მართვის შესაბამისი ორგანოების მიერ განსაზღვრული წესით.

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების (აკადემიების) რექტორებს ირჩევს სასწავლებლის გაფართოებული საბჭო სასწავლებლის წესდებით განსაზღვრული წესით. რექტორები იღებენ სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ორგანიზაციის სრულ პასუხისმგებლობას.

არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებს ირჩევენ და ნიშნავენ დამფუძნებლები.

მუხლი 24. საზოგადოების მონაწილეობა საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში შესაძლებელია მოსწავლეთა, სტუდენტთა, პედაგოგიურ მუშაკთა, თანამშრომელთა, მშობელთა და საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა მონაწილეობა.

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები შესაძლებელია იყოს კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია) და სამეურვეო საბჭო. მათი უფლებამოსილებანი განსაზღვრულია სასწავლებლის წესდებით.

მუხლი 25. სახელმწიფო მართვის ორგანოების უფლებები არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულებაზე

არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულებას უფლება აქვს დაიწყოს საგანმანათლებლო მოღვაწეობა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოსგან ლიცენზიის მიღების შემდეგ, რაც განისაზღვრება გარკვეული წესით.

იმ შემთხვევაში, თუ არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას, სახელმწიფო მართვის ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ასეთი დაწესებულების ფუნქციონირება სასამართლოს გადაწყვეტილებამდე.

მუხლი 26. სახელმწიფო მართვის ორგანოების უფლებები უწყებრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე

სახელმწიფო მართვის ორგანოები აკონტროლებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის გატარებას განათლების სფეროში იმ სასწავლო დაწესებულებებში, რომლებიც არიან სხვა უწყებრივ დაქვემდებარებაში და აგრეთვე ახორციელებენ სახელმწიფო სტანდარტების დაცვას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

თავი IV
სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

მუხლი 27. მოსწავლეთა უფლება-მოვალეობანი

მოსწავლეთა უფლებებია:

საკუთარი ღირსების პატივისცემა, სინდისის თავისუფლება, საკუთარი შეხედულებებისა და მრწამსის გამოხატვა;

სასწავლო დაწესებულების ამორჩევა განათლების მისაღებად, თუ მისი ცოდნის დონე და სხვა გარემოებანი (ჯანმრთელობა, ენის ცოდნა და სხვა) იძლევა ამის საშუალებას;

შრომითი საქმიანობა, რომელიც მის ასაკსა და ფიზიკურ მდგომარეობას შეესაბამება;

გამოცდების (მათ შორის გამოსაშვების) ექსტერნად ჩაბარება ნებისმიერ სასწავლო დაწესებულების ნებისმიერ კლასში (კურსზე).

სასწავლო დროის ხარჯზე მოსწავლეთა გადაყვანა სხვა სამუშაოზე, თუ იგი არ არის დაკავშირებული სასწავლო პროცესთან, აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებით.

მოსწავლეები ვალდებულნი არიან:

დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა, ზნეობრივი და ეთიკური ნორმები;

დაემორჩილონ სასწავლო დაწესებულების წესდებასა და შინაგანაწესს;

მიიღონ საბაზო განათლება (9 წლიანი).

მუხლი 28. მოსწავლეთა (სტუდენტთა) სოციალური დაცვა

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სტიპენდიებით, დახმარებით, საერთო საცხოვრებლით, ინტერნატებით, შეღავათიანი ან უფასო კვებით და სხვა შეღავათებით. მათ გარანტირებული აქვთ ბიბლიოთეკების ფონდით, სასწავლო-საწარმოო, სამეცნიერო, სპორტული, საყოფაცხოვრებო, გამაჯანსაღებელი ბაზებით, სატრანსპორტო მომსახურებით უფასო სარგებლობა.

სახელმწიფო მუდმივ ზრუნვას იჩენს ნიჭიერი ახალგაზრდების მიმართ, მატერიალურად მხარს უჭერს მათ და უქმნის შესაძლებლობას სწავლა გააგრძელონ ან სტაჟირება გაიარონ საქართველოს რესპუბლიკის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ან საზღვარგარეთის წამყვან საგანმანათლებლო ცენტრებში.

იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო დაწესებულება წყვეტს ფუნქციონირებას, სახელმწიფო მართვის ორგანო მოსწავლეებთან (სტუდენტებთან) შეთანხმებით უზრუნველყოფს მათ გადაყვანას შესაბამისი პროფილის სხვა სასწავლებელში.

არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირების შეწყვეტისას მოსწავლეთა (სტუდენტთა) სწავლის გაგრძელებაზე პასუხისმგებლები არიან სასწავლებლის დამფუძნებლები და სახელმწიფო მართვის ორგანო, რომელმაც გასცა ლიცენზია. პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით.

მუხლი 29. მოსწავლეთა (სტუდენტთა) ჯანმრთელობის დაცვა

საგანმანათლებლო დაწესებულებები ქმნიან პირობებს მოსწავლეთა (სტუდენტთა) ჯანმრთელობის დაცვისა და გამაგრებისათვის. სასწავლო შრომითი დატვირთვა, სწავლის რეჟიმი, კვება, სამედიცინო მომსახურება განისაზღვრება სასწავლო დაწესებულების მიერ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთობლივი რეკომენდაციების საფუძველზე.

მოსწავლეთა (სტუდენტთა) სწავლის, დასვენების და შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების დაცვაზე პასუხისმგებელია სასწავლო დაწესებულების დამფუძნებელი.

მუხლი 30. მშობელთა ან მათ შემცვლელთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

მშობლებს ან მათ შემცვლელთ უფლება აქვთ:

თავიანთი არასრულწლოვანი ბავშვებისათვის ამოარჩიონ სწავლების ფორმა, სასწავლო დაწესებულების ტიპი და სწავლების ენა;

სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას მოსთხოვონ წესდებით გათვალისწინებული პირობების შექმნას;

მოითხოვონ ბავშვის პიროვნების მიმართ პატივისცემა;

მიიღონ მონაწილეობა დაწესებულების მართვაში.

მშობლები ან მათი შემცვლელები ვალდებულნი არიან:

იზრუნონ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიურ ჯანმრთელობაზე;

აღზარდონ ბავშვებში კანონების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ პატივისცემა;

შექმნან აუცილებელი პირობები ბავშვის სწავლისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან სრულყოფილი საშინაო განათლებისათვის დადგენილ მოთხოვნათა ფარგლებში.

მშობლებს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

მშობლები ან მათი შემცვლელნი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ბავშვის განათლების მიღებას, პასუხს აგებენ კანონის წინაშე.

მუხლი 31. პედაგოგიური მოღვაწეობის უფლება

პედაგოგიური მოღვაწეობის უფლება აქვთ იმ პირთ, ვინც პედაგოგიური განათლება მიიღეს ინსტიტუტებში, რომელთაც საქართველოს მთავრობამ მიანიჭა უფლება, გასცეს პედაგოგიური განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი. იმ პირთ, ვისაც პედაგოგიური განათლება არ გააჩნიათ, პედაგოგიური მოღვაწეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაივლიან სახელმწიფო ატესტაციას, რომლის პირობებიც პედაგოგთა ატესტაციის დებულებითაა განსაზღვრული.

პედაგოგიური პერსონალის სამუშაოზე მიღება ხდება კონტრაქტის საფუძველზე, რომლის პირობებიც განსაზღვრულია მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებით. პედაგოგიური მოღვაწეობის აკრძალვა ხდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 32. პედაგოგთა უფლებები

პედაგოგთა უფლებებია:

პროფესიული ღირსების დაცვა;

პროფესიული საქმიანობისათვის პირობების უზრუნველყოფა, კვალიფიკაციის ამაღლება;

სწავლების ფორმის, მეთოდებისა და საშუალებათა არჩევისას ინიციატივის გამოვლინება;

საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობაში მონაწილეობა;

ინდივიდუალური პედაგოგიური საქმიანობა.

აკრძალულია პედაგოგიური საქმიანობიდან მოწყვეტა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 33. პედაგოგთა მოვალეობანი

პედაგოგები ვალდებულნი არიან:

განავითარონ მოზარდებში მაღალი ზნეობრივი ნორმები, განაპირობონ პიროვნების შესაძლებლობების ჯანმრთელი და უსაფრთხო განვითარება;

მიაღწიონ მოზარდთა მიერ აღმზრდელობითი პროგრამების ათვისებას;

დაიცვან პედაგოგიური ეთიკის ნორმები;

აიმაღლონ საკუთარი კვალიფიკაცია;

მონაწილეობა მიიღონ სკოლისგარეშე პედაგოგიურ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს მოზარდთა თვითგანვითარებას, მათი თვითგამორკვევისა და კულტურული ინტერესების დაკმაყოფილებას;

დაიცვან ბავშვები და მოზარდები ძალადობისაგან;

ითანამშრომლონ მშობლებთან ან მათ შემცვლელებთან მოზარდთა განათლებისა და აღზრდის საკითხებში.

მუხლი 34. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკთა სოციალური დაცვა

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიურ მუშაკებს უფლება ეძლევათ ჰქონდეთ:

შრომის ანაზღაურების გარანტირებული დონე მისი რეგულარული კორექტირებით ფასების ინდექსის ცვლილებების შესაბამისად;

პედაგოგიური კვალიფიკაციისა და მოღვაწეობის შედეგების მიხედვით დიფერენცირებული ანაზღაურება, შესაბამისად შემოკლებული სამუშაო დრო და გახანგრძლივებული ანაზღაურებადი შვებულება;

სოფლად და ქალაქის ტიპის დასახლებაში უფასო საცხოვრებელი ფართი და კომუნალური მომსახურება;

საცხოვრებელი ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადახდის შეღავათები; სრული პენსიის მიღების უფლება საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე, დამოუკიდებლად იმისგან, აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას თუ წყვეტს მას.

საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება აქვთ ბიუჯეტგარეშე თანხების შეზღუდულებისამებრ გამოყენებისა მუშაკთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

განათლების მუშაკებზე სოფლად, ვრცელდება სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის დაწესებული ყველა შეღავათი;

განათლების მუშაკებზე, რომლებიც მოღვაწეობენ სახელმწიფო საგანმანათლებლო ქსელის სასწავლო-საწარმოო, სასწავლო სამეურნეო, საწარმოო დაწესებულებებში, ვრცელდება შესაბამისი უწყების სახელმწიფო შეღავათები.

(დასასრული მე-3 გვ.).

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

განათლების შესახებ

(დასასრული)

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებსა და სხვა დაწესებულებებს უფლება აქვთ დაუწესონ განათლების მუშაკებს დამატებითი სოციალური შეღავათები.

განათლების მუშაკთა პენსიით უზრუნველყოფას განაპირობებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

თავი V

იმ ბავშვებისა და მოზარდების სოციალური დაცვა, რომლებიც აღზრდისა და განათლების განსაკუთრებულ პირობებს საჭიროებენ

მუხლი 35. ობოლ და მშობლების, ან მათთან გათანაბრებულ პირთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა განათლება და რჩენა

ობოლ და მშობლების, ან მათთან გათანაბრებულ პირთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა განათლება და რჩენა სახელმწიფო და ლიცენზირებულ არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში ხორციელდება სრული სახელმწიფო უზრუნველყოფის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აღნიშნული კატეგორიის აღსაზრდელები სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობენ საყოფაცხოვრებო და შრომითი მოწყობის საკითხებში, აგრეთვე შემდეგი დონის (საფეხურის) სასწავლო დაწესებულებაში შესვლისას.

მუხლი 36. ფიზიკური და ფსიქიური ნაკლის მქონე, აგრეთვე იმ ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა და განათლება, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივ მკურნალობას

ფიზიკური და ფსიქიური ნაკლის მქონე, აგრეთვე იმ ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა და განათლებისათვის, რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებენ, განათლების, აღზრდისა და მკურნალობისათვის იქმნება და ფუნქციონირებს სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ამ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვების განპირობება და გამოწერა შესაძლებელია მხოლოდ ფსიქოსამედიცინო-პედაგოგიური კომისიის დასკვნის საფუძველზე, მშობელთა, ან მათთან გათანაბრებულ პირთა აზრის გათვალისწინებით. სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულების აღსაზრდელები მთლიანად იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე. მათთვის უფასოა კვება, მკურნალობა, საპროტეზო-ორთოპედიული საშუალებები, საინვალიდო ეტლები.

მუხლი 37. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები იმ პირთათვის, რომელნიც სოციალურ დახმარებასა და რეაბილიტაციას საჭიროებენ

ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებიც საჭიროებენ აღზრდისა და სწავლების განსაკუთრებულ პირობებს, იქმნება სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები აღზრდის განსაკუთრებული პირობებით, რაც უზრუნველყოფს მათ განათლებას, პროფესიულ მომზადებას და სოციალურ რეაბილიტაციას.

არასრულწლოვანთა მოთავსება ამ ტიპის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს განაჩენით ან გადაწყვეტილებით.

შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოთავსებულ პირთათვის სახელმწიფო ქმნის პირობებს განათლებისა და თვითგანათლებისათვის.

თავი VI

საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი სტატუსი, განათლების მატერიალური ბაზა და ფინანსირება

მუხლი 38. საგანმანათლებლო დაწესებულებათა დამფუძნებლები

საგანმანათლებლო დაწესებულებათა დამფუძნებლები შეიძლება იყოს:

სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანო;

საკუთრების ყველა ფორმის დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმო;

საზოგადოებრივი გაერთიანება;

რელიგიური ორგანიზაცია;

საქართველოს მოქალაქე;

უცხო ქვეყნის მოქალაქე, ორგანიზაცია;

საერთაშორისო ორგანიზაცია.

მუხლი 39. საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამართლებრივი სტატუსი

საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება იძენს იურიდიული პირის უფლებებს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან.

საგანმანათლებლო დაწესებულებები მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებებისა და მათ შესაბამისად შემუშავებულ წესდებათა საფუძველზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გარკვეული სტატუსის (გიმნაზია, ლიცეუმი, კოლეჯი, უნივერსიტეტი, აკადემია და ა. შ.) მინიჭებას ახორციელებს განათლების სამინისტრო მათი აკრედიტაციის საფუძველზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ ურთიერთშეთანხმებებს, გაერთიანდნენ სასწავლო-აღმზრდელობით კომპლექსებსა და სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში (ასოციაციებში, კორპორაციებში). ამ კომპლექსებსა და გაერთიანებებში შემავალ დაწესებულებათა ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება მათი წესდებით.

მუხლი 40. საკუთრების უფლება განათლების სისტემაში

საგანმანათლებლო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ქონება მათი დამფუძნებლის საკუთრებაა. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით იგი შეიძლება გადაცემულ იქნეს უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ორგანიზაციის საკუთრებასა ან სამეურნეო დაქვემდებარებაში.

განათლების სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გამოყენებული მიწის ნაკვეთები გადაეცემა მათ უსასყიდლოდ მუდმივ მფლობელობაში. ამ ნაკვეთებით სარგებლობის უფლება რეგულირდება საქართველოს კანონით მიწის შესახებ.

მუხლი 41. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეიცავს მიწას, ნაგებობებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკებს, სპორტულ ნაგებობებს, კომუნიკაციებს, მანქანებსა და მოწყობილობებს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა საკუთრებას, რომელიც გამოიყენება სწავლების, აღზრდის, სამეცნიერო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოსა და საგანმანათლებლო სფეროს სხვა ამოცანებისათვის.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვითარდება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების, აგრეთვე ფინანსირების დამატებითი წყაროების ხარჯზე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაპროექტება და მშენებლობა პრიორიტეტულია ნორმატიულ საფუძველზე.

სახელმწიფო ქონება, გადაცემული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, არ ექვემდებარება ჩამორთმევას ან ძირითად ამოცანებთან შეუთავსებელი მიზნებით გამოყენებას.

მუხლი 42. დაფინანსება განათლების სფეროში

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ნორმატივების საფუძველზე რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების, საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა სახსრებისა და დაფინანსების დამატებითი წყაროების ხარჯზე.

სახელმწიფო თავმდებობს სახსრების ყოველწლიურ გამოყოფას განათლების საჭიროებისათვის იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს მის პრიორიტეტულობას და აგრეთვე თითოეულ აღსაზრდელსა და მოსწავლეზე დანახარჯთა ნორმატივების თანდათან გაზრდასა და ამ ნორმატივების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დაყვანას.

საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან გაუწიონ მოსახლეობას, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფასიანი საგანმანათლებლო სამსახური, აგრეთვე ეწეოდნენ მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულ სხვა სახის კომერციულ საქმიანობას.

დაფინანსების დამატებით წყაროებს წარმოადგენენ სახსრები, რომლებიც მიიღებიან:

კადრების მომზადების, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისათვის დადებული ხელშეკრულებების (მათ შორის სხვა სახელმწიფოებთან) შესაბამისად;

დამატებითი საგანმანათლებლო სამსახურის გაწევისათვის;

სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ცალკეულ პირთა შეკვეთით შესრულებულ სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სამუშაოებისათვის;

სასწავლო-სახელოსნოების, საწარმოების, საამქროების და მეურნეობების პროდუქციის რეალიზაციის, ან სათავსოთა, ნაგებობათა, მოწყობილობების იჯარით გაცემის შედეგად;

ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების დოტაციების, ბანკების კრედიტებისა და სესხების სახით;

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ცალკეულ პირთა ნებაყოფლობითი ფულადი შენატანის, მატერიალურ ფასეულობათა სახით.

არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები იმყოფებიან დამფუძნებელთა კმაყოფაზე. ამათგან იმათთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას სახელმწიფო შეკვეთის საფუძველზე გამოეყოფა სახელმწიფო ასიგნებანი კანონმდებლობის დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 43. განათლების სახელმწიფო სტიმულირება

საგანმანათლებლო დაწესებულებათა, აგრეთვე ორგანიზაციების, საწარმოების, საკუთრების ყველა ფორმის გაერთიანებების დაბეგვრა საშუალებათა იმ ნაწილზე, რომელიც განათლების განვითარებაზეა მიმართული, რეგულირდება კანონმდებლობით.

საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც გამოსცემენ სახელმძღვანელოებს, აწარმოებენ სწავლების საშუალებებს, ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების მიწოდებას, მიეცემათ შეღავათები დაბეგვრაში კანონმდებლობის საფუძველზე.

საშუალებები, რომლებიც გაიცემა ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებისათვის უსასყიდლოდ ან გასამრჯელოდ შესრულებული სამუშაოსა და გაწეული სამსახურისათვის, არ ექვემდებარება დაბეგვრას და შეიძლება გაერთიანებულ იქნეს განათლების ადგილობრივ ფონდებსა ან საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფონდებში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას ამის სურვილი გააჩნია.

საბიუჯეტო ასიგნებანი განათლებაზე და საგანმანათლებლო დაწესებულებათა არასაბიუჯეტო სახსრები არ ექვემდებარება ჩამორთმევას.

ფულადი სახსრების წლის ბოლოსათვის წარმოქმნილი ნაშთები, მათი მიღების წყაროს მიუხედავად არ ამოიღება და იხარჯება საგანმანათლებლო დაწესებულებების შეხედულებისამებრ.

არასაბიუჯეტო თანხებს, თავის შეხედულებისამებრ, განხარჯავს საგანმანათლებლო დაწესებულება ხელმძღვანელი ორგანოს — საბჭოს გადაწყვეტილებით.

თავი VII

საერთაშორისო თანამშრომლობა განათლების სფეროში

მუხლი 44. საერთაშორისო თანამშრომლობა

საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ ჩაერთონ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში, დაამყარონ პირდაპირი კონტაქტები სხვა ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, სხვა ქვეყანასთან ერთად შექმნან ერთობლივი სასწავლო დაწესებულებები და საგანმანათლებლო ცენტრები.

კანონმდებლობით დასაშვებ ფარგლებში განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებები და ორგანიზაციები ამყარებენ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს. უფლება აქვთ იქონიონ სავალუტო ანგარიში.

თუ საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებაში განსაზღვრულია წინამდებარე კანონისგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

დაყოვნება აღარ შეიძლება. ახალი სახელმწიფოს მშენებლობის ასპარეზზე დღესვე უნდა გამოვიხმოთ რეფორმატორული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანები!

პოლიტიკური განცხადება

დღეის შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობა კვლავ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შიმშილობს, მოსალოდნელია მასობრივი სოციალური აფეთქებანი, შექმნილია უმძიმესი ზნეობრივი, პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარება. აშკარაა, რომ კრიზისიდან გამოსვლა შეუძლებელია საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის განსაკუთრებული გააქტიურების გარეშე.

უკანასკნელ წლებში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლიტიკოსები და მწარმოებლური, აღმშენებლობითი პოტენციალის მატარებელი ადამიანები ერთმანეთისაგან გათიშული, ზოგჯერ ერთმანეთთან დაპირისპირებულნიც კი აღმოჩნდნენ. მოქმედი პოლიტიკოსების უმრავლესობა, სამწუხაროდ, დაქსაქსულია წვრილ, სოციალური ბაზის უქონელ პარტიებში. ამიტომაა სახეზე, ერთი მხრივ, მათი განუწყვეტელი ბრძოლა ხელისუფლებაში ლიდერის მდგომარეობის მოსაპოვებლად, მეორე მხრივ, კონსტრუქციულად მოაზროვნე, პროფესიონალი ადამიანების გათითოკაცება და განზე დგომა. ვერ იქნა და ვერ მოხერხდა სუვერენიტეტის მოპოვებისათვის ბრძოლის და შენების პროცესის შერწყმა. ზედმეტად გავერთეთ პოლიტიკით და დავივიწყეთ ეკონომიკა. უფრო მეტიც — პირველი გაიგივებულიქნა ძველის ნგრევასთან, მეორე კი დღემდე პრაქტიკულად უყურადღებოდაა მიტოვებული. შედეგად, ასპარეზზე გამოვიდნენ მნგრეველებისა და მოძალადეების საკმაოდ ძლიერი ჯგუფები. შეიქმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ ამ პირობებში მიმდინარე მოჩვენებითი რეფორმების პროცესმა ნაცვლად გაჯანსაღებისა, მოგვცეს უკუშედეგი — სახელმწიფო საკუთრება აღმოჩნდეს მაფიოზური ელემენტების, კლანების ხელში, რომლებიც შეეცდებიან თავიანთ ნებაზე წარმართონ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაც. ამის პირველი სიმპტომები დღეს უკვე შეიმჩნევა და ძნელია ვიფიქროთ, რომ ამ ძალებმა იოლად დათმონ მოპოვებული პოზიციები. ღარიბი და მტაცებლური გზით გამდიდრებული ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოების სტრუქტურა შესაძლოა საუკუნო ნიშანი გახდეს ჩვენი სახელმწიფოსათვის — მაშინ მას არ ექნება დემოკრატიული მოწყობის არავითარი პერსპექტივა.

დაყოვნება აღარ შეიძლება. ახალი სახელმწიფოს მშენებლობის ასპარეზზე დღესვე უნდა გამოვიხმოთ რეფორმატორული სულისკვეთებით გამსჭვალული, აქამდე ფაქტობრივად ჩრდილში მდგომი, საქმიანი, მეურნე ადამიანები, ახალი ბიზნესის წარმომადგენლები, ფერმერები, მეწარმეები, საწარმოთა ხელმძღვანელები, მეცნიერები, ფინანსისტები, ინჟინრები, აგრონომები, ეკონომისტები, იურისტები, პროფესიონალი სახელმწიფო მოხელეები და სხვები.

ფუნდამენტური ამოცანა დღეს ისაა, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოების საშუალო სოციალური ფენა — საშუალო მესაკუთრეთა ფენა, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ადამიანები შექმნიან და რომელიც თავისთავზე აიღებს ქვეყნის გადარჩენის ძირითად პასუხისმგებლობას. ცივილიზებული სამყაროს გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ისინი, როგორც საზოგადოების უმრავლესობის წარმომადგენლები, არა მარტო ქმნიან ეროვნულ სიმდიდრეს, არამედ გვევლინებიან დემოკრატიული სახელმწიფოს სტაბილურობის გარანტად. მწარმოებელთა ფენა სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული ძლიერი, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობით, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებით და განვითარებით, რაც უზრუნველყოფს წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას, პიროვნებისა და საკუთრების, საზოგადოდ სოციალური სამართლიანობის დაცვას.

მაგრამ ყოველივე ამის მისაღწევად საკმარისი არ არის მხოლოდ დაინტერესება, თუნდაც სასიკეთოდ განწყობილი უმრავლესობისა. დღევანდელი რეალობა გადაუდებლად მოითხოვს კონსტრუქციულად მოაზროვნე ადამიანების შესაძლებლობათა თავმოყრას მძლავრ პოლიტიკურ მოძრაობაში, რომლის მთავარი მიზანი საზოგადოების რეფორმატორული ძალების გაერთიანება და ქვეყნის გადასარჩენად თანამშრომლობა იქნება.

ახლა არ არის ურთიერთბრალდებათა წამოყენების დრო, კმარა ისიც, რაც უსაგნო ურთიერთკინკლაობაში ხელიდან იქნა გაშვებული. ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლის ჩაყრისათვის საკმარისი წინაპირობები ჯერ კიდევ არსებობს: საქართველოს აქვს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, პრაქტიკულად გამოუყენებელია მისი ზღვისპირა მდებარეობა, შედარებით შენარჩუნებულია ბუნებრივი ლანდშაფტი, წიაღისეული სიმდიდრეები, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, ფაბრიკები, ქარხნები, საკონსტრუქტორო-საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მეცნიერ-გამომგონებლები, კვალიფიციური მუშახელი ქალაქად და სოფლად, მეურნის ტრადიციული ჩვევები და შრომისმოყვარეობა.

თითქოს შეთანხმებული ვართ, რომ ავაშენოთ სოციალური საბაზრო ეკონომიკა, მაგრამ ბოლომდე არ არის გაცნობიერებული, რომ დღეს უკვე მოგვიწევს არა გეგმიური ეკონომიკიდან გადასვლის ორგანიზება, არამედ მის ნანგრევებზე ახალი საწარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობათა აშენება, ქვეყნის ახალი სახელმწიფოპოლიტიკური მოწყობა, ე. ი. საქმე ეხება ფართო მასშტაბის რეფორმების განხორციელებას სოფლად და ქალაქად, რომელიც დაეყრდნობა მაღალ მეცნიერულ საფუძვლებზე შემუშავებულ და მთელი ხალხის მიერ გაცნობიერებულ კონცეფციასა და პროგრამას. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიოს მოწინავე გამოცდილება და ქართული მეურნეობრიობის ტრადიციები. იგი უნდა შემუშავდეს ქართველი სპეციალისტების მიერ, საქართველოს ეკონომიკის, მისი საფინანსო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე, მოწვეული უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ჰყავს ადამიანები, ვისაც შეუძლია შეიმუშაოს და პრაქტიკულად განახორციელოს ასეთი პროგრამა, მაგრამ საჭიროა მათი ამოქმედება, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვა და რაც მთავარია, თანადგომა და დაცვა — მორალურად, მატერიალურად, ორგანიზაციულად. საქართველოს ხელისუფლება ასეთი ადამიანებისაგან უნდა შედგებოდეს, მათ ასპარეზზე მხოლოდ მათივე პოლიტიკური ორგანიზაცია გამოიყვანს. ევოლუციურ-რეფორმატორული გზებით ქვეყნის დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების იდეის გარშემო ჩამოყალიბდება თანამოაზრეთა და მხარდამჭერთა მძლავრი სოციალური ფენა — ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების, რეფორმატორთა კავშირის მყარი ბაზა.

კავშირი გამოხატავს საზოგადოების დიდი ნაწილის შინაგან მოთხოვნილებას, საკუთარი შრომითა და გონებით შექმნას სახელმწიფოს ძლიერების რეალური საფუძველი, ჩამოაყალიბოს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის პრაქტიკული გამოყენების უნარის მქონე შემოქმედ ადამიანთა ძლიერი გუნდი, რომელსაც შეეძლება დაიწყოს ეკონომიკური და პოლიტიკური ჩიხიდან ქვეყნის გამოყვანა და პასუხი აგოს ამ გარდაქმნათა ყველა შედეგისათვის.

კავშირის კარები ღიაა ყველასათვის, მიუხედავად ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა, პიროვნული სიმპათიისა და ანტიპათიისა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სახელმწიფოს მომავალი, ვისაც აქვს მოთმინება აიტანოს დროებითი სიძნელეები და გაიღოს ყველაფერი ამ მიწა-წყალზე მშვიდობიანი აღმშენებლობისა და ეროვნული თანხმობის მყარი ტენდენციის დასამკვიდრებლად. ასე შეიძლება თანდათანობით შერბილდეს, შემდეგ კი მოიხსნას დღეს არსებული საშინაოპოლიტიკური დაძაბულობა და საზოგადოების ყურადღება გადატანილ იქნეს ეკონომიკური განვითარების პრობლემატიკაზე.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს მოსახლეობა, ყველა კუთხისა და მხარის, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებნი მხარს დაუჭერენ რეფორმატორთა კავშირის შექმნას და ამ ისტორიულ ჟამს თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი სამშობლოს გადარჩენის მამულიშვილურ საქმეში!

საქართველოს რეფორმატორთა კავშირის დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის წევრები (ხელის მომწერის რიგის მიხედვით):

ივერი ფრანგიშვილი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;
ბაქურ გულუა — საქართველოს პარლამენტის წევრი;
ნიკო ვახანია — აკადემიკოსი, ინსტიტუტის დირექტორი;
ზურაბ ბერიშვილი — ეკონომიკის სამინისტროს მაკროეკონომიკის სამმართველოს უფროსი;
თემურ ძებლიგაშვილი — მინისტრთა კაბინეტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;
ნოდარ ცანავა — მრეწველობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი;
ერეკლე გამყრელიძე — აკადემიკოსი;
უჩა ბლუაშვილი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი;
რევაზ კვარაცხელია — ფირმა „მამულის" პრეზიდენტი;
ლევან კიკნაძე — გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
ბორე კამკამიძე — ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი;
ზურაბ ცქიტიშვილი — გაერთიანება „დიდუბის რძის" გენერალური დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
გოგი ლორთქიფანიძე — გაერთიანება „თბილქალაქმშენის" მმართველის უფროსის მოადგილე;
ზურაბ გზირიშვილი — გაერთიანება „ელექტროაპარატის" გენერალური დირექტორი;
თემურ ჟანაშია — გაერთიანება „თბილქალაქმშენის" მთავარი ინჟინერი;
გიორგი ზარიძე — აკადემიკოსი;
იოსელ ჯებაშვილი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი;
ნოდარ ჯავახიშვილი — ბინსოცბანკის ისნის განყოფილების მმართველი;
ჯანსუღ ღვინჯილია — გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი;
ზურაბ ბასილაშვილი — ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი;
ზურაბ ზედგინიძე — მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე;
ირაკლი როდონაია — ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი;
ნოდარ ლომინაძე — ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი;
ირაკლი ჟორდანია — აკადემიკოსი;
თამაზ ბუბუშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
შოთა კობერიძე — ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე;
ბელა აბრამიშვილი — მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის კომერციული დირექტორი;
აპოლონ სილაგაძე — გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე;
ნუგზარ რობიტაშვილი — სამრეწველო კომბინატ „კახეთის" გენერალური დირექტორი;
დავით კიკენაძე — საქართველოს ბიზნეს-ცენტრის გენერალური დირექტორი;
ლევან მახვილაძე — საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;
გივი თალაკვაძე — მრეწველობის მინისტრის მოადგილე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
ნოდარ თავართქილაძე — პოლიტოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი;
ედუარდ სისტრულიძე — გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი;
კარლო თაბუკაშვილი — საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
ვახტანგ მდივანი — სააქციო კომპანია „იბერრუსის" პრეზიდენტი;
ალექსანდრე ხირაძე — რუსთავის ამწემშენებელი ქარხნის დირექტორი;
გურამ დიდბარიძე — ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსი;
ზაურ ურუაშვილი — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" გენერალური დირექტორი;
ალექსანდრე მოვსესიანი — ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
ბადრი ნინუა — კორპორაცია „ბანი და კომპანიის" პრეზიდენტი;
ვახტანგ ტატუნაშვილი — გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორის მოადგილე;
ირაკლი ჩიხლაძე — ფირმა „ი. გ. ო"-ს დირექტორი.
გიორგი ნიჟარაძე — მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
შოთა დოლონაძე — კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის საზოგადოება „მთაწმინდას" თავმჯდომარე;
გიორგი გაჩეჩილაძე — კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე;
შოთა ნიშნიანიძე — პოეტი;
თეიმურაზ ჩიხლაძე — თბილისელ მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის გენერალური დირექტორი;
დიმიტრი ქურტანიძე — საერთაშორისო სავაჭრო სახლის „ინტურთბილისის" მენეჯერი;
რეზო სალუქვაძე — აკადემიკოსი;
რობერტ ხულაძე — ელექტროშემდუღებელ მოწყობილობათა ქარხნის დირექტორი;
ცოტნე მირცხულავა — აკადემიკოსი;
დემურ ჩომახიძე — საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
გივი ლულუნაშვილი — საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
რევაზ ხიბუა — ქ. რუსთავის გაერთიანება „ავტომატმრეწვის" გენერალური დირექტორი;
ნოდარ ამაღლობელი — აკადემიკოსი;
თეიმურაზ დვალი — საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო დეპარტამენტის უფროსი;
ვაჟა კეშელავა — პროფესორი, პოლიტოლოგი;
გურამ ახრახაძე — კონცერნ „გულანის" პრეზიდენტი;
დავით დათოშვილი — ფირმა „დვრიტას" გენერალური დირექტორი;
ანზორ შონია — ქ. რუსთავის მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტი;
გერმან მეძმარიაშვილი — სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს განყოფილების უფროსი;
ედუარდ კანდელაკი — თბილისელ მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის აღმასრულებელი დირექტორი;
მინდია სალუქვაძე — აკადემიკოსი;
არჩილ ფრანგიშვილი — ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
რომან რურუა — სპორტული ნაწარმის ფაბრიკის დირექტორი;
ზურაბ ქორიძე — სპორტული ნაწარმის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე;
ლაშარი ფულარიანი — კომპანია „ბენჟამენის" პრეზიდენტი;
ვანო გორგიძე — საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს-მდივანი;
გურამ ჯავახაძე — საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
ზეზვა ლულუნიშვილი — სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტის" პრეზიდენტი, პროფესორი;
რეზან კონცელიძე — „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარე;
როინ მიგრიაული — იურისტი;
ალექსანდრე კუშაშვილი — თბილისელ მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის თავმჯდომარე;
კონსტანტინე კაპანაძე — სააქციო საზოგადოება „არაგვიკორპორეიშენის" პრეზიდენტი;
ნიკოლოზ რამიშვილი — კონცერნ „ამომავალი მზის" გენერალური დირექტორის მოადგილე;
ზაალ კობახიძე — ინდივიდუალურ ინიციატივათა კორპორაციის პრეზიდენტი.
გურამ გოგიაშვილი — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი;
იგორ ბოგომოლოვი — რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების პრეზიდენტი-კოორდინატორი, პროფესორი;
იური ნაგიევი — ქურთთა ასოციაციის „რონაის" პრეზიდენტი;
გრიგოლ მართანოვი — ფირმა „ფარის" გენერალური დირექტორის მოადგილე;
ვალენტინა გაგიევა — მედდა;
ვადიმ ანასტასიადი — „ვეჩერნი თბილისის" რედაქტორი.

ქ. თბილისი 11 აგვისტო, 1993 წელი;

საორგანიზაციო კომიტეტის მისამართია: ქ. თბილისი, წერეთლის პრ. № 56. ტელ.: 95-85-47, 95-86-25.

გენერალი ჯონ შალიკაშვილი — უმაღლეს სამხედრო თანამდებობაზე

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გამოაცხადა, რომ 57 წლის გენერალი ჯონ შალიკაშვილი დანიშნოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარედ. თუ სენატი კანდიდატურას დაამტკიცებს, იგი ამ უმაღლეს სამხედრო პოსტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში შეცვლის გენერალ კოლინ პაუელს, რომელიც 30 სექტემბერს თადარიგში მიდის.

ამჟამად ჯ. შალიკაშვილი არის ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

ჯონ შალიკაშვილი დაიბადა 1937 წელს ვარშავაში შთამომავლობით სამხედროთა ოჯახში. მისი პაპა მეფის რუსეთის არმიის გენერალი იყო. მამამისიც არმიის ოფიცერი გახლდათ. ოციან წლებში შალიკაშვილების ოჯახმა რუსეთი მიატოვა და პოლონეთში დასახლდა. 1944 წელს შალიკაშვილის მამა გერმანიაში გადასახლდა. იგი ვარშავიდან რვა წლის ვაჟთან ერთად საბჭოთა ჯარების იქ შესვლის წინ გაიქცა. როგორც კლინტონმა შენიშნა, „გენერალი და მისი ოჯახი ისეთსავე ეროვნული და ეთნიკური კონფლიქტების ცეცხლში აღმოჩნდნენ, როგორიც ახლა გიზგიზებს მსოფლიოს ნაწილში". გენერალი ფლობს პოლონურ და გერმანულ ენებს, ინგლისურზე აქცენტით ლაპარაკობს.

ჯონ შალიკაშვილი სამხედრო 1958 წელს გახდა. იგი არმიაში გაწვევით წავიდა და მიაღწია „ოთხვარსკვლავიან" გენერლის წოდებას. მსახურობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთ ვიეტნამში, გერმანიაში, კორეაში, იტალიაში, ეკავა საშტაბო და სამწყობრო თანამდებობანი. იყო ჯავშანსატანკო და ქვეითთა დივიზიების მეთაური, მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახმელეთო ძალების სტრატეგიისა და დაგეგმვის პრობლემებზე. 1991 წელს ინიშნება შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის კოლინ პაუელის თანაშემწედ. 1992 წლის აპრილიდან ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია.

სპარსეთის ყურის რაიონში ომის დროს შალიკაშვილი წარმატებით წყვეტდა რთულ სამხედრო და დიპლომატიურ ამოცანებს.

შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით შალიკაშვილს არ დაუმთავრებია პრესტიჟული სამხედრო აკადემიები, რაც, როგორც წესი, აიოლებს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში გზას უმაღლესი სამეთაურო თანამდებობებისაკენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კლინტონმა ფრიად მაღალი შეფასება მისცა გენერალ შალის (ასე უწოდებენ შალიკაშვილს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში) ღირსებებს.

„იგი იმიტომ ავირჩიე, — თქვა კლინტონმა, — რომ დარწმუნებული ვარ: მას შეუძლია უხელმძღვანელოს ნებისმიერ სამხედრო ოპერაციას, რომელიც მის ქვეყანას დასჭირდება, და გაიმარჯვებს. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ იგი აბსოლუტურად გულახდილი იქნება ჩემთან და როგორც სამხედრო, პროფესიული თვალსაზრისით მუდამ უნაკლო რჩევა-დარიგებას მომცემს, რომელიც, როგორც პრეზიდენტისათვის, შეიძლება აუცილებელი გამოდგეს".

პრეზიდენტმა შალიკაშვილი დანიშნა „ნამდვილ ჯარისკაცად", რომელიც სხვებზე გაცილებით უკეთ შეეფერება ახალ პოსტს, და დასძინა, რომ გენერალმა შალიმ დაამტკიცა, რომ იგი მამაცი მებრძოლია, რომ აქვს მოქნილი გონება და შეუძლია განჭვრიტოს მოვლენები, რომ მას შესანიშნავად ესმის ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური კონფლიქტები, რომლებმაც მსოფლიო მოიცვა, აგრეთვე ხედავს შეერთებული შტატების შესაძლებლობებს და თავისუფალ საზოგადოებათა განვითარებას იქ, სადაც ახლა ომი წარმოებს.

კლინტონმა აგრეთვე აღნიშნა, რომ გენერალმა შალიკაშვილმა ნატოში შესანიშნავად ცხადყო, რომ შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებთან მუშაობა უაღრესად რთულ პირობებში, აგრეთვე ნამდვილი მზრუნველობა არმიაში მომსახურე ადამიანებისათვის. უფრო მეტიც, როგორც კლინტონმა თქვა, გენერალმა შალიკაშვილმა იცის, თუ როგორ უნდა შეამციროს შეერთებულმა შტატებმა შეიარაღებული ძალები, თუმცა ამ დროს უნდა დარჩეს როგორც „მსოფლიოში უძლიერესი არმიის მქონე" ქვეყანა.

გენერალი ჯონ შალიკაშვილი ვიეტნამის ომის მონაწილეა. იგი სარდლობდა ჩრდილოეთ ერაყში ქურთთა დახმარების ოპერაციებს სადამ ჰუსეინის ტერორისაგან მათ გადასარჩენად. „მან დიდი პატივისცემა მოიპოვა როგორც ჯარისკაცებს შორის, რომლებიც მას ექვემდებარებოდნენ, ისე სამხედრო ლიდერთა შორის, რომლებთანაც მას მუშაობა მოუწია", — თქვა პრეზიდენტმა.

კლინტონმა განაცხადა, რომ ევროპაში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლის უკანასკნელ პოსტზე შალიკაშვილმა შექმნა სწრაფი რეაგირების ძალები. ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი, რათა მისი კანდიდატურა დაესახელებინა მაღალ პოსტზე. „ცივი ომის დამთავრების შემდეგ დაისახა ჩვენი უშიშროების განმტკიცების ბევრი შესაძლებლობა. გენერალი შალიკაშვილი სწორედ ის კაცია, რომელსაც შეუძლია უმეთაუროს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ასეთ რთულ ხანაში".

ვაშინგტონში ამბობენ, რომ თავის დროზე შალიკაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების სხვა მხედართმთავრებთან ერთად დაიყოლია პრეზიდენტი ბუში არ ჩარეულიყო იარაღის ძალით იუგოსლავიის კონფლიქტში. გენერალს მიიჩნევენ გამოჩენილ სპეციალისტად ევროპის პოლიტიკაში და იმ ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში, რომლებიც წინათ შედიოდნენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში.

საზღვარგარეთის პრესის მასალების მიხედვით — საქინფორმი.

ინფორმაცია-93

ზუგდიდი. ზუგდიდის შრომის ბირჟაზე აღრიცხულია 7.523 ადამიანი, რომელთა შორის 1.260-ს მინიჭებული აქვს უმუშევრის სტატუსი.

უმუშევრის სტატუსი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ენიჭებათ მხოლოდ წარმოების მიზეზით განთავისუფლებულ პირებს. ზუგდიდის შრომის ბირჟა უმუშევრებს პურის კომპენსაციით ეხმარება.

ზესტაფონი. ზესტაფონის კაბელების ქარხანა (დირექტორი — გურამ კუპუნიძე) გაჩერდა ნედლეულის უქონლობის გამო. ხელმძღვანელობამ მუშა-მოსამსახურეები ერთთვიან კუთვნილ შვებულებაში გაუშვა.

ქარხნის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ 2 თვის მანძილზე შეიძენენ საჭირო მასალას და ქარხანაც ჩვეული ტემპით განაახლებს მუშაობას.

დმანისი. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ რამდენიმე ხნის წინათ დმანისის რაიონში დაიკეტა ყველა საბავშვო ბაგა-ბაღი. თურმე, დმანისის რ-ის გამგეობის თავმჯდომარემ რომან კვლელაშვილმა, აფხაზეთის რეგიონში ყოფნის გამო, არაფერი იცოდა მომხდარის შესახებ.

ამჟამად მიღებულია გადაწყვეტილება საბავშვო ბაგა-ბაღების გახსნის თაობაზე.

დმანისი. დმანისის რაიონის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებმა, საზოგადოების ინიციატივით, რაიონში შექმნილი ეკონომიკური, სოციალური და კრიმინოგენური კრიზისის დასაძლევად ჩამოაყალიბეს საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც დასახა ღონისძიებანი არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასა და რაიონის მთელ ტერიტორიაზე კანონიერების განმტკიცებას.

ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მუშაობა ყოველგვარი შუღლისა და დაპირისპირების აღმოფხვრის მიზნით.

ბათუმი. აშშ-დან ბათუმში შემოვიდა ჰუმანური დახმარების ტვირთი, რომელიც შედგება სხვადასხვა სახის კვების პროდუქტისაგან. აღსანიშნავია, რომ დახმარება შეიცავს მშობიარე ქალთათვის განკუთვნილ ვიტამინებით მდიდარ წვენებს.

ჰუმანური დახმარების ეს პარტია გაიგზავნება თბილისსა და ქუთაისში. სულ მალე შემოვა მეორე პარტია, რომელიც აჭარაში განაწილდება.

სოხუმი. აფხაზეთში განლაგებული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პრეს-ცენტრიდან გვაცნობეს, რომ ღამის 01.00 სთ-ზე, ოჩამჩირის რ-ის სოფ. ტამიშთან „სუ-25“ ტიპის თვითმფრინავმა და სამხედრო ვერტმფრენმა გადაუფრინეს საქართველოს ჯარების პოზიციებსა და სოფლის შემოგარენს.

დილის 04.00 სთ-ზე, აფხაზთა მხარის შეიარაღებულმა ფორმირებებმა შრომა-ახალშენის მიმართულებით სცადეს შეტევის განხორციელება, რომელიც მოგერიებულ იქნა. ცნობა მსხვერპლის შესახებ პრეს-ცენტრს არ მიუღია. ეს დარღვევები დაფიქსირდა სამმხრივი კომისიის მეთვალყურეთა მიერ.

მზე. ზღვა და... სიწყნარე

აფხაზეთში პირველი ნაბიჯები გადაიდგა მშვიდობის გზაზე და ფრონტისპირა სოხუმი იხსნის სამხედრო ალყურობას. ხვალინდელი დღის იმედით შეჰყურებს მას თორმეტთვიანი ომით გატანჯული მრავალეროვანი მოსახლეობა. ამას მოწმობს ექსპერის გამოკითხვაც, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების სოჭში ხელმოწერიდან ორი კვირის შემდეგ მოაწყო გაზეთმა „დემოკრატიჩესკაია აბხაზია“. კითხვაზე, იმედს გინერგავთ თუ არა ორი კვირის ზავი, დადებითად უპასუხა რესპონდენტთა 57 პროცენტმა, უარყოფითად — 34 პროცენტმა, გამოკითხულთა 9 პროცენტმა კი პასუხი ვერ გასცა.

მაგრამ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ გაცილებით შემცირდა იმათი რიცხვი, ვისაც ეეჭვებოდა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების გაერთიანებული კომისიის მუშაობის გააქტიურება.

დღეს სოხუმს წყნარი, მზიანი ცა დანათის.

ქალაქი იშუშებს იარებს. ასუფთავებენ ქუჩებს, სკვერებსა და ბულვარებს, მიმდინარეობს სახლების შეკეთება, ბრუნდებიან ლტოლვილები. ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. ქალაქი ელექტროენერგიას იღებს. ქალაქის მარშრუტებზე გავიდა ტროლეიბუსები. ზოგიერთი საცხოვრებელი უბანი წყალს იღებს. შეუფერხებლად მუშაობს ორი პურის ქარხანა და მაღაზიებთან უკვე აღარა დგას მომაბეზრებელი რიგები.

სიმბოლურია, რომ შაბათს, 14 აგვისტოს — აფხაზეთში ომის დაწყების წლისთავის დღეს, სოხუმელებმა დღესასწაული მოიწყვეს. პირველად იბანავეს მათ ზღვაში.

თენგიზ ჯიბუტი.

Albert Schweitzer-Friedens-Zentrum
Institut zur Förderung gewaltfreier Politik

Centre Albert Schweitzer de la Paix
— Institut politique de Non-Violence —
Albert Schweitzer-Peace-Centre
— Foundation for a non-violent policy —

კვლავ მორისთან, საქართველოში...

ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის პრემიის ლაურეატის მორის ფოცხიშვილის ხსოვნას

ღრმა მწუხარებით შევიტყვე მორის ფოცხიშვილის გარდაცვალება. დიდი ქართველი მწერლების შემდეგ, 60 წელს ოდნავ გადაცილებული, ის იყო დიდი სახალხო პოეტი თავისი ერისა. 1983 წელს მორის ფოცხიშვილსა და ოთარ თაქთაქიშვილს გადაეცათ ალბერტ შვაიცერის მშვიდობის მედლები „შერიგებისათვის, ძალმომრეობის წინააღმდეგ“. სხვადასხვა დროს ეს მედალი გადაეცათ მარკ შაგალს, პაბლო პიკასოს, ჰერმან ვედეკინდს და სხვებს. დაუვიწყარია ჩვენთვის მორისის პოეზიის საღამოები გერმანიაში. ეს იყო საქართველოსათვის ყველაზე მძიმე და დაძაბულ 1989 წელს. მორისი მთელი თავისი შემოქმედებით, რუსეთის ორასწლიანი უღლიდან მშვიდობიანი გზით განთავისუფლებისათვის იღვწოდა. მან შექმნა თავისუფლების ჰიმნი, რომელიც ქვეყანას წინ უძღოდა. ის ძალმომრეობის მოწინააღმდეგე იყო. უპირველესად მას უნდა ვუმადლოდეთ იმ დიდი სისხლისღვრის თავიდან აცილებას, თავისუფლებას მოწყურებულ ამაყ ქართველ ხალხს რომ ეწერა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.



ჰერმან ვედეკინდს, რომელიც მეგობრობის ხიდი გახლავთ გერმანიასა და საქართველოს (აგრეთვე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს შორის), და მე გვქონდა შესაძლებლობა თქვენთან ერთად განგვეცადა პროცესების მდინარება 1989 წლიდან. როგორც სასწაულს ისე აღვიქვამდით ყოველივეს, რადგან შეიძლებოდა სხვაგვარად წარმართულიყო ქართველთა ბედი.

დღეს, როდესაც თვალს ვადევნებთ მდგომარეობას აფხაზეთში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ყველაზე მტკივნეული წერტილი მხოლოდ მაშინ დაწყნარდება, როცა ჯერ კიდევ ძლიერი საბჭოთა არმია საბოლოოდ დასტოვებს საქართველოს ფარგლებს. ეს მხოლოდ 1996 წლის 1 იანვრისათვის მოხდება, როცა შავი ზღვის ფლოტი საბოლოოდ დანაწილებული იქნება, როცა ძირითადად საქართველოს ნავსადგურები იფუნქციონირებს, როცა მუსულმანი მეზობელი ქვეყნები შეწყვეტენ 80000 მუსულმანი აფხაზის წაქეზებას იარაღისკენ (როცა, უპირველესად შეწყდება იარაღის მიწოდება გარედან).

ჩვენ ვიზიარებთ მთელი ქართველი ხალხის მწუხარებას და ვართ მათთან ერთად მისი სახალხო პოეტის, ჩვენი ძვირფასი მეგობრის, ალბერტ შვაიცერის იდეათა პატივისმცემლის მორის ფოცხიშვილის გარდაცვალების გამო. უპირველესად ვუთანაგრძნობთ მის მეუღლესა და ქალიშვილებს. ჰერმან ვედეკინდთან ერთად მომავალ კვირას თბილისში უკანასკნელ პატივს მივაგებთ ჩვენს მეგობარს.

ჰერმან ვედეკინდს მან უძღვნა ლექსი:

„მზეზე ითბობდა მოხუცი ფიქრებს,
გაყინულ ფიქრებს
ითბობდა, რადგან
მას კიდევ
ვიღაც-ვიღაცის სწამდა...
მზეზე ითბობდა მოხუცი ფიქრებს“.

წიგნში „ჰერმან ვედეკინდზე“, რომელიც მალე უნდა გამოვიდეს, არის ერთი თავი ჰერმან ვედეკინდის მეგობარ მორისზე სათაურით — „ჰერმან, მოდი!“.

და მოდის ჰერმანი, რომელიც მორისმა, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ფეხზე დააყენა, კვლავ მორისთან, საქართველოში...

გიუნტერ ჯაიპი,
ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის ცენტრი.

ივლისი 1993 წ.

იბეჭდება მცირე შემოკლებით.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ბატონო რედაქტორო! მოგვეცით, საშუალება, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ულრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციას და კერძო პირს, ვინც გაიზიარა ჩვენი დიდი მწუხარება პოეტ მორის ფოცხიშვილის გარდაცვალების გამო.

მორის ფოცხიშვილის ოჯახი.

„რენოს“ მანქანა თბილისშიც გაიყიდება

— ეს კულტურული მოვლენა ხელს შეუწყობს სასიამოვნო და სასარგებლო ღონისძიებების შერწყმას, — თქვა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ საავტომობილო კონცერნ „რენოს“ აღმოსავლეთ ზონის წარმომადგენლობის დირექტორ როჟე პოლისთან შეხვედრის დროს. სტუმარმა სპიკერს გადასცა თავისი ფირმის წარმოებული სარეალიზაციო პროდუქციის დოკუმენტები, პროსპექტები. მხარი დაუჭირა კონცერნ „რენოსა“ და საქართველოში ამ ფრანგული ავტოფირმის წარმომადგენლობის კონცერნ „ერქვანს“ შორის მოლაპარაკებას, კონტრაქტების გაფორმებასა და ურთიერთთანამშრომლობას.

როჟე პოლისა და „ერქვანის“ თავმჯდომარის კობა ჯიბლაშვილის ახლახან ხელმოწერილი კონტრაქტი ითვალისწინებს თბილისში 15 სექტემბრიდან სხვადასხვა მოდელების ავტომობილების პირველი პარტიის შემოტანას, რეალიზაციას, მომსახურეობის ფუნქციის მოწყობას ქალაქის ერთ-ერთ ავტოპროფილაქტორიუმში.

კონტრაქტის პირობით ავტომობილების შემოტანა, გამოფენა-რეალიზაცია მოხდება მანქანების სხვადასხვა მოდელების მიხედვით. წარმოდგენილი იქნება მცირელიტრაჟიანი ოთხკარიანი ავტომანქანა. საშუალო კლასისა და პრესტიჟული მსუბუქი ავტომანქანები, 22-ადგილიანი მიკროავტობუსები. საექსპოზიციო-სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება „რენო-ესპასი“, „რენო-19“, „რენო-21“, „საფრანი“, „კლიო“. მანქანათა ღირებულება ათი ათასიდან ოცდაათი ათას დოლარამდეა.

შემდგომში გათვალისწინებულია ავტომანქანების შემოტანა მომხმარებელთა მიერ ამორჩეული მოდელების შეკვეთებით საქართველოს წარმომადგენლობაში შეთავაზებული პროსპექტების მიხედვით.

— მოხარული ვარ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს როჟე პოლიმ, — რომ დავდე კონტრაქტი საქართველოში მსუბუქი ავტომობილების გამოფენა-გაყიდვაზე. ვიმედოვნებ, რეალიზაციის პროცესი დადებითი იქნება.

მოკლეს თავდამსხმელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრიდან საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში მდებარე № 3 პოსტთან ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ ამირან ჩარქსელიანს და მის თანმხლებთ — ვლადიმერ კაკუშაძესა და რეზო ლილაძეს თავს დაესხა ავტომატებით შეიარაღებული 5 ბოროტმოქმედი. ორმხრივი სროლის შედეგად ამირან ჩარქსელიანმა ტაბელური ავტომატიდან გასროლით მოკლა ქუთაისელი უმუშევარი ჯემალ სანაძე და დაჭრა ადრე ნასამართლევი, ძებნილი, ქალაქ სამტრედიაში მცხოვრები მალხაზ ჟღენტი. ადგილზე დაკავებული იქნა მესამე ბოროტმოქმედი — უმუშევარი ქუთაისელი მამუკა ყიფიანი.

მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დანარჩენ დამნაშავეთა დასაკავებლად.

ახალი წიგნები



გამომცემლობა „განათლებამ“ თბილისის მართვის ინსტიტუტის შეკვეთით გამოსცა ვახტანგ ქარუმიძის საცნობარო კრებული „საერთაშორისო ორგანიზაციები“, რომელიც მომზადდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრაზე. კრებულში განმარტებულია საერთაშორისო ორგანიზაციის ცნება (საერთაშორისო ორგანიზაცია, კონფერენცია, სამთავრობათშორისო, არასამთავრობათშორისო ორგანიზაციები, რეგიონალური სამთავრობათშორისო ორგანიზაცია), ნაჩვენებია საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით გაეროსა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების, ადგილი და მნიშვნელობა ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, მოტანილია ცნობები 48 საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ.

პროფ. ვ. ქარუმიძის ეს ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს რესპუბლიკის სტუდენტ-ახალგაზრდობას და აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემების შესწავლით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.



ფირმა «PrintShop»
უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დავამზადებთ უმაღლესი ხარისხის
ბეჭდებსა და შტამპებს
თბილისი. ვირსალაძის ქ. № 8
ტელ.: 998696, 997712

უჩვენებს თბილისი

სამშაბათი

17 აგვისტო

7.25 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.35 — განცხადებები. 18.40 — ადამიანი და კანონი — სატელევიზიო პროგრამა. 19.10 — პარალელი. 19.40 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ხსოვნის რექვიემი — ირაკლი უჩანეიშვილი. 22.00 — **„ვესტნიკი“** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — **მატჩის წინ.** 23.00 — მუსიკა ღამით. 23.45 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 24.00 — მუსიკა ღამით (გაგრძელება).

ოთხშაბათი

18 აგვისტო

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.25 — განცხადებები. 18.30 — **მე, შენ და საქართველო.** 19.00 — ანძა — ტელემარკეტინგი, 19.10 — რეკლამა. 19.15 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 19.55 — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე: „დინამო“ (თბილისი) — „ლინფილდი“ (ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია). რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონიდან. 21.55 — რეკლამა. 22.00 — **„ვესტნიკი“** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — ვიდეო... ვიდეო... 24.00 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხუთშაბათი

19 აგვისტო

7.25 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.40 — განცხადებები. 17.45 — გზა. 18.05 — **კონსტიტუცია.** 18.35 — აბრეშუმი. 19.00 — სტუდია „ალფა“ — ვინ არიან ისინი — ქართველი ბიზნესმენები. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — წრე. 21.40 — **ფერისცვალების დღესასწაული.** 22.00 — **„ვესტნიკი“** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — ჩვენი პრემიერა — სატელევიზიო სპექტაკლი — ო' ჰენრი, „უკანასკნელი ფოთოლი“. 23.15—ფეხბურთი დარბაზში. 23.45 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.



პარასკევი

20 აგვისტო

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო გამოშვება. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.25 — განცხადებები. 18.30 — თუ მუსიკა გიყვართ... 19.15 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.25 — **პოლიტიკა.** 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — **საუბრები ბიბლიაზე.** 21.20 — შეხვედრა ოთარ რამიშვილთან. 21.50 — დოკუმენტური ფილმი. 22.00 — **„ვესტნიკი“** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — მხატვრული ფილმი. 23.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ერთგულება, მხარში დგომაა

ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ წლების განმავლობაში თბილისის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე თამაშდებოდა ერთგულების ლატარია, რომლისგან ამოგებული თანხა მთლიანად ხმარდებოდა თბილისის „დინამოს“ სტადიონსა და გუნდის კეთილდღეობას, შემდეგ, ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, იგი შეჩერდა.

ახლა, როცა თბილისის „დინამო“ ისევ გავიდა ევროპულ სარბიელზე და როცა, როგორც გუნდს, ასევე სტადიონს, ძალზე უჭირს ეკონომიკურად და ფინანსურად, ჩვენ გადავწყვიტეთ, ისევ ავაღორძინოთ ერთგულების ლატარია.

საფეხბურთო ლატარია, რომელიც გათამაშდება 18 აგვისტოს თბილისის „დინამოსა“ და ბელფასტის „ლინფილდის“ შეხვედრის შემდეგ, ერთობ საინტერესოა ყველასთვის და პირველ რიგში იმით, რომ გათამაშდება 10 ავტომანქანა, მათ შორის ისეთები, როგორიცაა „მერსედესი“, „ბმვ“, „ვოლგა“-1029“, „ვოლგა“-2410, „ვაზ“-21099 და „ვაზ“-2109, სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ იმ მდგომარეობაში, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა რომ არის, ლატარიის ბილეთის სიძვირე — 10 ამერიკული დოლარი ყველას არ აძლევს მონაწილეობის საშუალებას, მაგრამ გასათვალისწინებელი ისიც არის, რომ ზემოჩამოთვლილი მოგებები შეძენილია ვალუტაზე და საკმაოდ ძვირად ფასობს.

ახლა, რაც შეეხება გათამაშების პირობებს. იგი საკმაოდ განსხვავდება ადრინდელი გათამაშებებიდან.

კერძოდ: ახლანდელ ტირაჟში მონაწილეობა უნდა მიიღოს 50 000 ბილეთმა, თუ იგი მთლიანად გაიყიდა, მაშინ მოგებამ უნდა შეადგინოს 250 000 ამერიკული დოლარი, მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი: თუ ბილეთების მთლიანი რაოდენობა არ გაიყიდა, მაშინ მოგებები ნაწილდება პროპორციულად: გაყიდული ბილეთების რაოდენობიდან გამომდინარე...

მაგალითად, თუ გაიყიდება 10 000 ბილეთი, მაშინ მოგების ფონდი იქნება არა 250 000 დოლარი, არამედ ფაქტობრივად გაყიდული ბილეთების თანხის 50%. ე. ი. 507 000 დოლარი და ა. შ. მაგრამ თუ გაიყიდება 107.000 ბილეთზე ნაკლები, მაშინ ლატარიის გათამაშება არ შედგება და გაყიდული ბილეთების მფლობელებს თანხა დაუბრუნდებათ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ე. ი. 18 აგვისტოსვე. ჩვენ, კარგად გვესმის, რომ ამან შეიძლება ზოგიერთი ლატარიის ბილეთის მფლობელის უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეს ლატარია ერთგულების ლატარიაა და ერთგულება კი მხარში დგომასაც გულისხმობს.

კორპორაცია „ბანი და კომპანია“, მატჩის გენერალური სპონსორი.

ყოჩაღ, ზურაბ!

გერმანიის ქალაქ ბადენ-ბადენში დასრულებულ მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს 3 გამარჯვებული ჰყავს — ქართველი ზურაბ სტურუა და მასპინძლები — სტეფან კინდერმანი და ფილიპ შლოსერი.

თითოეულ მათგანს წილად ხვდა 2800 მარკა.

ჩვენი სტუმარი

...თქვენ დასაღუპავად განწირული ხალხი არა ხართ

პიტერ მიკულა, რომელიც გუშინ რედაქციაში გვეწვია, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატია.

პროფესიით ფსიქოლოგი შვეიცარიელია. იგი უკვე 4 თვეა, საქართველოში იმყოფება.

აი, რა გვითხრა პიტერმა:

— წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში 1992 წლის თებერვალში გაიხსნა.

ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს მსოფლიოს ყველა იმ კუთხეში, სადაც კონფლიქტური სიტუაციაა.

ჩვენი უშუალო დანიშნულებაა ვინახულოთ სამხედრო ტყვეები ციხეებში და ჰუმანური დახმარება გავუწიოთ მათ.

გარდა ამისა, ვავრცელებთ ცოდნას და ვაწყობთ ლექცია-სემინარებს საერთაშორისო სამართალზე.

ჩვენი ვალია, თანაბრად დავეხმაროთ კონფლიქტში ჩაბმულ ორივე მხარეს.

ჩვენი წარმომადგენლები არიან თბილისში, სოხუმსა და გუდაუთაშიც.



წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენლები მუშაობენ მხოლოდ იქ, სადაც ომია. მე ვყოფილვარ აზიაში, შუა აღმოსავლეთში, აფრიკაში, სხვადასხვა დროს. ისე რომ, ამ საქმის დიდი გამოცდილება მაქვს. ომს, მოგეხსენებათ, დიდი გაჭირვებები ახლავს. ახლა საქართველოც ამ დღეშია, მაგრამ მჯერა, დააღწევს თავს ამ კონფლიქტს და მშვიდობა დამყარდება.

მე ძალიან მომეწონა თქვენი ქვეყანა, განსაკუთრებით კი სტუმართმოყვარე ხალხი. არ შეიძლება მისმა დიდმა იუმორის გრძნობამ არ მოგხიბლოს. ასეთ გაჭირვებაში კიდევ რომ შემოგრჩათ იუმორის გრძნობა — ესეც მაფიქრებინებს, რომ თქვენ დასაღუპავად განწირული ხალხი არა ხართ.

თითქმის ერთი წელი მაქვს მივლინების ვადა და ვიმედოვნებ, კიდევ უფრო მეტ მეგობრებს შევიძენ.

მარადი ანასაშვილი.

ხსოვნა



ბუდუ ჩოგოვაძე

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ბუდუ (ალექსი) ონისიმეს ძე ჩოგოვაძე.

დაიბადა 1917 წელს. დაამთავრა რკინიგზის სამშენებლო ტექნიკუმი, შემდეგ კი საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მუშაობდა თბილისის საავიაციო ქარხანაში საიარაღო საამქროს წამყვან ტექნოლოგად, ხოლო 1946 წლიდან ოთხ ათეულ წელზე მეტი დაუღალავად შრომობდა რესპუბლიკის სხვადასხვა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში, სადაც განვლო გზა რიგითი ინჟინრიდან ტრესტის ხელმძღვანელამდე. მისი მეთაურობით რესპუბლიკაში აშენებულია არაერთი ჩაის ფაბრიკა, ღვინისა და ლუდის ქარხნები, პურპროდუქტების საწარმოები, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სხვა მსხვილი ობიექტები. 1978 წლიდან პენსიაში გასვლამდე მუშაობდა საწარმოო გაერთიანება „თბილხილწყლის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ მშენებლობის დარგში. აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში მისი წვლილი აღნიშნულია მთავრობის მრავალი ჯილდოთი.

ქართველ მშენებელთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი პიროვნება, ოჯახისა და თავისი ხალხის მოსიყვარულე, კეთილშობილი ადამიანი.

რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „კავკასიონი“

საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „კავკასიონი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი

ბუდუ (ალექსი) ონისიმეს ძე ჩოგოვაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი თანაუგრძნობს მწერალ ჯანსუღ ღვინჯილიას მამის **ნიკოლოზ ღვინჯილიას** გარდაცვალების გამო.

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ,
ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ

Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от Москвы) в новом доме.

Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

LGV

ფირმა «ლგვ» გთავაზობთ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს როგორც ნაღდ ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით ორი სახის მაღალხარისხოვან წებოს, მინიმალური რაოდენობა 10 კგ.

1. წებო გერმეტიკი — გამოიყენება პარკეტის, ლინოლიუმის, ქვის, მინის დასაწებებლად. არის საუკეთესო საშუალება სველი წერტილების გერმეტიზაციისათვის.

2. წებო უნივერსალი — გამოიყენება ფეხსაცმლის წარმოებაში ტყავისა და რეზინის დასაწებებლად.

3. ფირმა «ლგვ» ასევე გთავაზობთ უცხოური წარმოების ტელექსს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, კანდელაკის ქ. 27
ტელეფონი: 37-15-40, 37-42-10, 39-32-37.
ფაქსი: 37-42-04.

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია
ასრულებს უმოკლეს დროში
გადარიცხვებს
რუსეთიდან საქართველოში,
თქვენთვის საინტერესო
წახალისებით.
ვისაც გაქვთ თანხა გადმოსარიცხი,
მოგვმართეთ!
საკონტაქტო ტელეფონებია:
ქ. თბილისში 36-27-74 (10-დან 16 სთ-მდე);
ქ. მოსკოვში (095) 378-79-78.

№ 8 სამკურნალო ცენტრისა და მე-4 საავადმყოფოს ბაზაზე არსებული სამედიცინო ტექნიკუმი
განაგრძობს აბიტურიენტთა მიღებას სრული და არასრული (IX-XI) საშუალო სკოლადამთავრებულთათვის შემდეგ სპეციალობებზე: 1. ბებია ქალი, 2. საერთო მედდა. 3. სტომატოლოგიური. სწავლება იწარმოებს მხოლოდ დილით 9-15 სთ-მდე ბაქოს 1, (მეტრო „მარჯანიშვილი“ ან მეტრო „ვაგზლის მოედანი“) ტელ.: 95-54-78.
დირექცია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

[illegible]